პარასკევი 1919 წ. იანვრის 24 № 18
წელიწადი მეხუთე

პარასკევი 1919 წ. იანვრის 24 № 18
ფასი თბილისში კაპეიკიანი და რკ. გზის სადგურებზე 1 მან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველო

**რ ე დ ა ქ ც ი ა**

საგაზეთო მასალა უნდა იყოს დაწერილი გარკვევით და ერთ გვერდზე. წერილში უნდა აღნიშნული იყოს ავტორის ვინაობა და მისამართი. უსარობოთ გამოგზავნილი მასალა უფასოთ იბეჭდება. დაუბეჭდავი საგაზეთო მასალა არ ინახება და რედაქცია არავითარ მიწერ-მოწერას მის შესახებ არ კისრულობს.

რედაქცია ღიაა დილის 9—3 საათამდის, გარდა უქმე დღისა. სარედაქციო საქმეების გამო პირადათ მოლაპარაკება შეიძლება ამავ დროს.

**მისამართი:** თბილისი, სასახლის ქუჩა, № 5, ქართული ქარვასლა. ფოსტის ადრესი: თბილისი, ფოსტის ყუთი № 76. ტელეგ. ადრესი: თბილისი, „საქართველო“.

**კ ო ნ ტ ო რ ა**

„საქართველოზე“ ხელის მოწერა მიიღება მხოლოდ სამი თვით და ღირს—40 მ. თვეში (მხოლოდ ქალაქში) 15 მანეთი. ცალკე № 1 მან. განცხადების ფასი სტრიქონი პეტიტისა პირველ გვერდზე 1 მ. 50 კ. უკანასკნელზე—1 მ. საქართველოს გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი ორჯერ მეტია. ნაზგლოვიარო განცხადება თითოჯერ 25 მანეთი. მისამართის გამოცვლა ღირს 3 მან. ფული და წერილები, რაც კონტორას შეეხება, უნდა გამოიგზავნოს კონტორის სახელზე. საჩქარო განცხადებანი უნდა მოტანილ იქნას არა უგვიანეს 1½ საათისა კონტორაში. კონტორა ღიაა დილის 10 საათიდან 3 საათამდე.

**ტელეფონი** რედაქციისა და კონტორისა **15—73**

ღრმად დამწუხარებულნი ელენე ნიკოლოზის ასული ზუმბულიძე, მარიამ ნიკოლოზის ასული მელიქსეთ-ბეგისა და ლეონ მელქისედეკის ძე მელიქსეთ—ბეგი, აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ სამშაბათს, 21-ს იანვარს, ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათი საყვარელი მამა და სიმამრი

**ნიკოლოზ კირილეს ძე**

**ზ უ მ ბ უ ლ ი ძ ე**

გამოსვენება კუკიის წმ. ნინოს სასაფლაოს პატარა ეკლესიიდან დიდ ეკლესიაში დღეს, პარასკევს, 24 იანვარს, დილის 10 საათზე. დაკრძალვა იმავე სასაფლაოზე.

1—2038—1

ღრმად დამწუხრებული დედა მარიამი ისაკის ასული ზაალიშვილისა (შმურაევისა) აუწყებნ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ შაბათს, 35 იანვარს პეტრე-პავლეს ეკლესიაში იქნება გახდილი ნახევარი წლის წირვა პანაშვიდი მის ერთად ერთი შვილის ვერაგულად მოკლულის პარუჩიკი 11-ტე ქართველ მსროლელთა პოლკის

**გიორგი სულხანის ძის ზაალიშვილის**

სულის მოსახსენებლად. წირვა დაიწყება 10 საათზე. პანაშვიდი წირვის შემდეგ სასაფლაოზე. 2—2036—2

**სახელმწიფო თეატრი**

**საოპერო დასი ს. ი. ევლახოვისა**

[პა]რასკევს, 24 იანვარს, **ქართულ ენაზე** წარმოდგენილი იქნება

ო პ ე რ ა

**დ ე მ ო ნ ი**

[მო]ნაწილეობენ: ქ-ნნი: შულგინა, ხორინა; ბ-ნნი: სარაჯიშვილი, ინაშვილი, ისეცკი, დემიანენკო, კურბატოვი.

[ახა]ლი დადგმა ალ. წუწუნავასი. 5—97—5

**სახელმწიფო თეატრი**

**საოპერო დასი ს. ი. ევლახოვისა**

პარასკევს, 24 იანვარს წარმოდგენილი იქნება

**ქართულ ენაზე** პარასკევს, 24 იანვარს **ქართულ ენაზე**

**დ ე მ ო ნ ი**

[მო]ნაწილეობენ ქ-ნნი: შულგინა, ხორინა, ბ-ნნი: სარაჯიშვილი, ინაშვილი, ისეცკი, დემიანენკო და კურბატოვი.

**დასაწყისი საღამოს 7 საათზე.**

[შა]ბათს, 25 იანვარს **ბალეტის ბენეფისი** შაბათს, 25 იანვარს

1. „გრძნეული ფლეიტა“. 2. „სოფლის პატიოსნება“.

[კვ]ირას, 26 იანვარს, დილით—„შვიდი ციკანი“, „წითელი ქუდი“ და „ქორ[წი]ლი უკრაინაში“; საღამოთი ა. ა. გურესის ბენეფისი „ჰოფმანის ზღაპრები“.

**საქართველოს მამულიშვილნო!**

**ახლოვდება არჩევნები**

**დამფუძნებელ კრების**

და

**თბილ. თვითმართველობისა**

[ყ]ოველი ქართველი მამულიშვილი ვალდებულია მხურვალე და შეგნებული მონაწილეობა მიიღოს არჩევნებში.

**ჩაეწერეთ სიებში, თუ გამოტოვებული ხართ.**

დაიცავით არჩევნებში თქვ[ე]ნ[ი] უფლებები.

[illegible] თ[ქ]ვ[ე]ნ უფლება და [illegible]

[დ]ღეს, საღამოს 6 საათზე, სამეურნეო საზოგადოების დარბაზში („გრუზიას“ რედაქციის გვერდით) შესდგება

**საქართველოს ეროვნულ - დემოკრატიული პარტიის ქ. თბილისის მე-2 რაიონის წევრთა**

**საზოგადო კრება**

დღის წესრიგია:

1. რაიონის კომიტეტის ანგარიში;
2. ახალ კომიტეტის არჩევა.

1—1

**ყოველდღიური საპოლიტიკო, საეკონომიო და სალიტერატურო გაზეთი**

# „საქართველო“

**1919 წელ.** | **წელიწადი მეხუთე** | **1919 წელ.**

მორიგ მასალის გარდა გაზეთში დაიბეჭდება ვასილ ბარნოვის დიდი ისტორიული

**რომანი „ტრფობა წამებული“ რომანი**

**გაზეთის ფასი:**

**წლით—150 მან., ნახევარი წლით—75 მან., სამი თვით—40 მან., ერთი თვით (მხოლოდ თბილისში)—15 მან.**

ხელის მომწერს, რომელიც გაზეთის ფასს გარდა კიდევ 10 მანეთს შემოიტანს, მიეცემა წლის ბოლომდე

**გერონტი ქიქოძის წიგნი ეროვნული ენერგია**

**მისამართი:** თბილისი, სასახლის ქუჩა, № 5, ქართული ქარვასლა. ფოსტის მისამართი: თბილისი, ფოსტის ყუთი № 76. ტელეგრამის მისამართი: თბილისი „საქართველო“. ტელეფონი — 15 — 73. კონტორა ღიაა დილით 9—3 ს.

## საადგილმამულო ფონდის განაწილება

ექვსი დღის ცხარე კამათის შემდეგ პარლამენტმა მიიღო მთავრობის მიერ წარმოდგენილი კანონ-პროექტი „სახელმწიფო საადგილმამულო ფონდიდან მამულების მცხოვრებთათვის კერძო საკუთრებათ მიცემისა“. თავის საყურადღებო საპასუხო სიტყვაში აგრარული კომისიის მომხსენებელმა გ. ქ. ნინიძემ ერთი მეორეს დაუპირდაპირა კლასობრივი და სახელმწიფოებრივი თვალთსაზრისი. მისი სიტყვის დედა აზრი ის იყო, რომ სახელმწიფო კლასთა თანამშრომლობის გამოხატულებას წარმოადგენს და ამისდამიხედვით კანონმდებლობა ყოველთვის ერთგვარ კომპრომისს გულისხმობს. მხოლოდ ბოლშევიკები უარჰყოფენ კომპრომისების საჭიროებას და სცდილობენ დეკრეტების საშუალებით მთელი საზოგადოება უმცირესობის ინტერესებს და სურვილებს დაუმორჩილონ. პრაქტიკულად როგორც თვით მომხსენებელს, ისე სხვა სოციალ-დემოკრატ ორატორებს ამ მოსაზრებებიდან ის დასკვნა გამოჰქონდათ, რომ საადგილმამულო ფონდი მთელი სახელმწიფოს ქონებას წარმოადგენს და კანონმდებელს უფლება არ აქვს ას გაანიავოს ან უფასოთ დაარიგოს.

სამწუხაროთ თვით კანონ-პროექტში სავსებით დაცული არ არის ეს სალი სახელმწიფოებრივი შეხედულება: როგორც წინათაც გვითქვამს ეს კანონპროექტი საერთოდ სოციალისტური არ არის, მაგრამ მესამე და მეჩვიდმეტე მუხლს უეჭველად ეტყობა კლასობრივი იდეოლოგიის გავლენა. ამ მუხლებში უფრო სოფლის პროლეტარიატის ინტერესებია დაცული, ვიდრე სახელმწიფოსი.

სახელმწიფო დღეს უკიდურეს ფინანსიურ კრიზისს განიცდის. გასავალი დიდათ სჭარბობს შემოსავალს, მოსალოდნელია რომ ბიუჯეტის დეფიციტი მიმდინარე წელიწადში ორას მილიონ მანეთს მიაღწევს. ამავე დროს ქვეყანა დატვირთულია ქაღალდის ფულით. მაშინ როცა წინათ პეტროგრადის ექსპედიცია თბილისის სახელმწიფო ბანკს წლიურად ათს მილიონ მანეთს უგზავნიდა და ეს თანხა მთელი კავკასიის მოთხოვნილებას აკმაყოფილებდა, უკანასკნელი წლის განმავლობაში თბილისის ექსპედიციამ თითქმის რვაასი მილიონი მანეთის ბონი გამოუშვა, რომლის ორი მესამედი საქართველოს ტერიტორიაზე ტრიალებს. ამან გამოიწვია მანეთის კურსის კატასტროფიული დაცემა და ცხოვრების არაჩვეულებრივი გაძვირება.

ასეთ პირობებში ფინანსიური კრახის აცილება მხოლოდ გმირული ზომებით შეიძლება. სახელმწიფოს ინტერესი მოითხოვს, რომ მიწის ფონდი, რომელიც უდიდეს რეალურ ღირებულებას წარმოადგენს, ისე განაღდეს, რომ ხაზინამ მაქსიმალური სარგებლობა ნახოს. ის კი შეუძლებელი იქნება თუ მიწა „უმიწაწყლო და მცირედი მიწის მქონე სოფლელთ მიეცა შეღავათიან ფასებში“, როგორც ამას მესამე და მეჩვიდმეტე მუხლების აზრი მოითხოვს. თუ მინისტრსა და კანონმდებელს უფლება არ აქვთ ჩამორთმეული მამულები უფასოთ დაარიგონ, მათ არც იმის უფლება აქვთ, რომ მეათედ ფასებში გაჰყიდონ, მიტომ რომ არსებითად ესეც სახელმწიფო ქონების განიავება იქნებოდა: განსაკუთრებით დღეს როცა გადასახადები არ შემოდის და თვითეული მანეთი ასე ძვირფასია ხაზინისათვის.

საერთოდ კანონპროექტი მისაღებია და ვერც ფედერალისტებმა და ვერც სოციალისტ-რევოლუციონერებმა არსებითად ვერაფერი სთქვეს მის საწინააღმდეგოთ. მაგრამ ის საჭიროებს კორექტივებს, რომელსაც ცხოვრება ბოლოს მაინც გააკეთებს. გასანაწილებელია დაახლოვებით შვიდასი ათასი დესეტინა. ეს ფონდი უნდა გაიყიდოს არა სპეკულატიურსა და არა შეღავათიანს, არამედ ნორმალურ ფასებში. მაშინ ხაზინა მიიღებს საკმაო თანხას როგორც მოსალოდნელი დეფიციტის დასაფარავად, ისე საკოლონიზაციო კაპიტალის შესადგენადაც, რომლის შემწეობით ადვილი იქნება უმიწაწყლო გლეხების გადასახლება და მოწყობა. როგორც პოლიტიკური, ისე ფისკალური და ეკონომიური ინტერესი საადგილმამულო ფონდის მაქსიმალურ გამოყენებას მოითხოვს.

## საქართვ. დამფუძ. კრება და ქართვ. ისრაელები.

### I.

განახლებულ საქართველოს ცხოვრებაში ორი მნიშვნელოვანი ხანაა აღსანიშნავი; ერთი ჩვენი დამოუკიდებლობის გამოცხადება, მეორე საქართველოს დამფუძნებელ კრების ხანა.

ჩვენ ვიცით, რომ 26 მაისიდან დიდი ცვლილებები მოხდა ქართველი ერის არა მარტო პოლიტიკურსა და სოციალ-ეკონომიურ ცხოვრებაში, არამედ ერის ფსიხოლოგიამაც საგრძნობი ცვლილება განიცადა.

მაგრამ უფრო მნიშვნელოვან დაღს დაამჩნევს ჩვენ ცხოვრებას ის დამფუძნებელი კრება, რომლის არჩევნების პირველ დღეთ თებერვლის 14 არის განზრახული, ვინაიდგან იგი სრულიად საქართველოს სურათს მოგვცემს და მის მიერ დაკანონებულს ველარაფერი შესცვლის, რადგან ქართველმა ერმა ისეთი ნებისყოფა გამოიჩინა თვისი სუვერენობისა და სახელმწიფოებრივობის დაცვაში, როგორიც სავსებით შეეფერება სიცოცხლის ღირსს კულტურულ ერს.

ცხადია, რომ აღნიშნული ორი მომენტები ჩვენის ცხოვრებისა ასეთსა თუ ისეთს გამოძახილს ჰპოებდა ქართველი ერის ყოველ ნაწილში. არა ქრისტიან ქართველთა მსოფლ მხედველობაშიც მოხდა ის ტეხილი, რომელიც ეგრე ბუნებრივი იყო. ქართველ მაჰმადიანთა ოსმალოფილური მასსა შეირყა და კვლავ გადმოიხედა თავისი ნამდვილი სამშობლოსაკენ, ხოლო მთელმა ქართველ ისრაელობამ იმ თავითვე შეიწყნარა ყველა ის სითბო და წარმოიდგინა სავსებით ის სრული ნეტარება, რომელიც საქართველოს დამოუკიდებლობის განმტკიცებას უნდა მოჰყოლოდა. მას შემდეგ, რაც კულტუროსანმა კაცობრიობამ ჩვენი თვითმყოფობა აღიარა, საფრთხის დიდი რაოდენობა თავიდან აგვცილდა და შეგვიძლია დამშვიდებით გამოვხატოთ ჩვენი ნებისყოფა.

რა გზას დაადგება ამ შემთხვევაში ქართველ ისრაელთა უდიდესი ნაწილი? ტრადიციულ გზას ცხადია არ ასცდება და ისევე შეედულება ქართულ დემოკრატიულ ჯგუფების სიებს, როგორც აქამომდე ედულებოდა.

ცალკე სიით ქართველი ისრაელები არ გამოვლენ, თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ დიდი ფული დაიხარჯა რუსეთის ებრაელებისა, რათა გზაკვალი აებნიათ ქართველ ისრაელებისათვის და სარწმუნოებრივი მომენტით გაეწყვიტათ ჩვენი ბედი და იღბალი.

აქ მასის სალ ინსტიქტმა სავსებით მოიგერია როგორც სიონისტების, ისე ბუნდოველების ავანტიურა და გადაჭრით აღიარა თვისი შეკვრა საქართველოსა და ქართველ ერთან.

მაგრამ ქართველ ისრაელთა სოციალ-ეკონომიური თუ რელიგიური ინტერესებიც ერთნაირად ვერ შეეგუება ყოველ ჯგუფის და ყოველ პარტიის იდეოლოგია მსოფლმხედველობას. ეს ორი მომენტი—რელიგიური და ეკონომიური—იმდენად დიდ მნიშვნელოვან როლს თამაშობენ ქართველ ისრაელთა ცხოვრებაში, რომ შეუძლებელია გაურკვევლად დავსტოვოთ ის კითხვა, თუ რომელ იდეოლოგიის კალთას უნდა შეაფაროს თავი ქართველ ისრაელთა თითქმის 90

# უკანასკნელი ცნობები

შესდგა მთიელთა კავშირის ახალი კაბინეტი ჭშემახო კოცევის თავმჯდომარეობით.

ბრიტანიის მთავარსარდალმა ბილნმა განუცხადა საქ. საგარეო მინისტრს, რომ მიიღებს ენერგიულ ზომებს ოსმალეთის წინააღმდეგ, თუ იმათ გადმოლახეს საქართველოს საზღვრები.

ნოე ჟორდანიას წარუდგა სომეხთა ეროვნულ საბჭოს დელეგაცია და სთხოვა ლტოლვილი სომხები გაუშვას არარატის რესპუბლიკაში.

გზათა სამინისტროსატყობინებენ, რომ სომხები წინააღმდეგობას უწევენ სანაინის რაიონის რკინის გზის ჩაბარებაში.

ვილსონმა თავის დროებით მოადგილეთ დანიშნა ყოფილი პრეზიდენტი ტაფტი.

პროც.—მა იმ დროს, როდესაც საბოლოოდ უნდა დაიხაზოს და დამკვიდრდეს ფარგლი საქართველოს შინაურ ცხოვრებისა.

ამ ფარგლებს დახაზავს ის დამფუძნებელი კრება, რომელიც თებერვალში იქნება არჩეული და ეხლა შეუგნებლად მისვლა საარჩევნო ყუთთან მიუტევებელი ცოდვა იქნებოდა როგორც თავისი სარწმუნოების, ისე ეროვნებისა და მთელი სამშობლოს წინაშე. მაშასადამე დაკვირვება, აწონ-დაწონვა და გათვალისწინება ყოველი ჭხლანდელი ნაბიჯისა მეტს ბარგს არ უნდა შეადგენდეს არც ერთი შეგნებული ქართველი ისრაელისათვის.

საქართველოში მომქმედი პარტიები ორ კატეგორიად დაიყოფიან: სოციალისტური და არა სოციალისტური. (მე რასაკვირველია არ შევეხები [illegible]

[illegible]

ი. ხანანაშვილი.

არის, რომ სოციალ-დემოკრატები ასე გააფთრებით ებრძოდნენ, ხოლო ახლა გულმოდგინეთ იჩემებენ ჩვენ იდეებს.

ასევე არის კოალიციის პრინციპი, რომელზედაც ჩვენ ვიდექით თავიდანვე და მხოლოდ მენშევიკების დიქტატურის სურვილმა შეუძლებელი შეჰქმნა მისი ცხოვრებაში გატარება. ჩვენ კიდევ დაუცდით მენშევიკებსა, როცა ისინი დარწმუნდებიან, რომ ხალხის მასსა, რომელსაც ის ეყრდნობა არ გამოაცლის ნიადაგს, ასეც რომ არ მოხდეს და უმრავლესობა კიდეც მათი იყოს, ჩვენ მაინც იმ აზრის ვართ, რომ სახელმწიფოს აშენებისთვის ადმინისტრატიულ ძალას და იდეოლოგიის ძალის შორის უნდა იყოს სხვა ნაირი პროპორცია, ვინემ ეს მენშევიკებს მიაჩნია შესაძლებლათ.

[illegible]

რომ სანამ საქართველოზე მათი უფლება არ განმტკიცდებოდა სპეკულიანტების ხსენებაც კი არ იყო. მხოლოდ ამის შემდეგ გაჩნდენ ეს სპეკულიანტები და მენშევიკების პარტიის კარები საკმაოთ ფართოთ გაიღო მათთვის. ჩვენ ბევრი გვინახავს და შეიძლება მომავალში კიდევ მეტიც ვნახოთ რევიზიების დანიშვნა:

დიდი ხანია, რაც მენშევიკებმა დაკარგეს „სოციალისტური" წმიდანობა და თავიანთ საქმეს აკეთებენ. მაგრამ სინიდისი მაინც არ უნდა დაკარგონ ამ ხალხმა და ერთხელ და სამუდამოთ თავი დაანებოს სპეკულიანტებზე ლაპარაკი, რადგან ეს ცოტა არ იყოს თავის გამათრახებაც არის: ერთხელაც არის ნამდვილი პარტიული სინიდისი შეუგნებლათ ან შეგნებულათ გააპალაჩებს გულწრფელ ადამიანებს და სიმართლეც მაშინ გამოჩნდება...

აგრეთვე უფრო ფრთხილათ უნდა ლაპარაკობდნენ სოციალ-დემოკრატები ნიჭზე; ნიჭი თანდაყოლილი თვისებაა პიროვნებისა და „მენშევიკების" ორგანიზაციებში არ იჭედება...

ამას თვით „ერთობის" პუბლიცისტებიც კარგათ უნდა გრძნობდნენ.

# პრესსა

**მენშევიკების საარჩევნო კომპანია.**

სოციალ-დემოკრატებმა არჩევნების წინ დრო იშოვეს კამათისთვის და ყოველ ფრონტზე იბრძვიან. მაგრამ რადგან ს.-დემოკრატებს ყველაზე უფრო სასტიკ მტრებათ ეროვნულ-დემოკრატები მიაჩნიათ, ამიტომ მთავარი იერიშები აქეთ არის მიმართული. მენშევიკები ისე გაებნენ პრაქტიკულ მუშაობაში, რომ იდეოლოგიას სრულებით თავი დაანებეს. „ერთობაში" მარქსის სახარების სიტყვებიც ნაკლებად ისმის ამ დროს, მარქსს თუ მოიგონებდენ, მხოლოდ ბოლშევიკებთან კამათში, თუმცა ბოლშევიკებსაც ვერაფერს აკლებდნენ, რადგან ბოლშევიკები ორტოდოქსალურ მარქსიზმს მაინცა და მაინც აღარ სცემენ პატივს. მენშევიკებს სრულიად გამოეპარათ ანგარიშიდან, რომ დაჰკარგეს პრინციპიალური საფუძველი კლასთა ბრძოლისა და ეროვნულ-დემოკრატების პლატფორმაზე შესდგნენ. ს.-დემოკრატების ორატორები პარლამენტის ტრიბუნიდან ყოველ-დღე იმეორებენ, რომ სახელმწიფოს აშენებისთვის ზეკლასიური შეგნებაა საჭირო და თავიანთ გატაცებაში არც კი გრძნობენ, როგორ ებრძოდნენ ამ იდეას, როცა ნაციონალ-დემოკრატები პირველად ასაბუთებდნენ.

როცა მენშევიკები იძულებული გახდნენ აგრეთვე მიეღოთ მიწის გლეხებზე საკუთრებათ გადაცემის პრინციპი, რომელსაც პირველად ეროვნულ-დემოკრატები იცავდნენ და როცა ჩვენ ეს აღვნიშნეთ, მენშევიკები პრიორიტეტს იჩემებენ, რომ 1916 წ. აღიარებდნენ ამ პრინციპს... ჩვენ დრო არ გვქონია და ალბად შემდეგშიაც არ გვექნება, რომ ს.-დემოკრატების კონგრესების და კონფერენციების ოქმები ვიკითხოთ, ისტორიის ომი გულმოდგინედ სპობს ამ დოქტრინებს, მხოლოდ ვიცით, რომ ქართულ პრესაში პირველად ეროვნულ-დემოკრატებმა წამოაყენეს პრინციპი; ყოველ შემთხვევაში ჩვენთვის ისიც საკმაო

# მთავრობის ცნობები

**სანიტარული სათათბირო**

18 იანვრის სხდომაზე მთავრობამ დაადგინა: სხ. და სხ. გადამდებ სენთან საბრძოლველად საქართველოს ტერიტორიაზე დაინიშნოს განსაკუთრებული რწმუნებული და თან სანიტარული სათათბირო შესდგეს, სათათბიროში შევლენ სამხედრო და სამოქალაქო უწყებათა წარმომადგენელნი.

—

განსაკუთრებულ რწმუნებულს ემორჩილებოდეს სანიტარული განყოფილებანი რესპუბლიკისა.

—

ამავე განსაკუთრებულ რწმუნებულს მიეცეს უფლება სხ. და სხ. სანიტარული სავალდებულო დადგენილებანი გამოსცეს.

—

საქართველოს საექიმო სასანიტარო დაწესებულებებში მოსამსახურენი ვალდებულნი არიან დაუყონებლივ შეასრულონ განსაკუთრებული—რწმუნებულის განკარგულებანი. წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი დაისჯებიან სამსახურიდან დათხოვნით და ერთი წლის დაპატიმრებით.

—

ამავე რწმუნებულს მიენიჭოს უფლება, ეპიდემიის დროს მოახდინოს საექიმო ძალების (ექიმებისა, ფერშლებისა ფარმაცევტებისა და სხ.) საქართველოს ქვეშევრდომთა, მობილიზაცია რომელნიც 45 წელს ზევით არ არიან.

—

საქართველოს მთავრობა უზრუნველ ჰყოფს იმ პირთა ოჯახებს, რომელნიც ეპიდემიასთან ბრძოლაში დაიღუპებიან.

—

გადამდებ სენთან საბრძოლველად განსაკუთრებულ რწმუნებულებად (შინაგან საქმეთა სამინისტროსთან) ექიმი კოპაძე დაინიშნა. ჯამაგირი 3,000 მან. წლიურად სამსახურისათვის, მოგზაურობის დროს, დღიური ხარჯების დასაფარავად დაენიშნა 50 მანეთი.

—

ამავე დაწესებულებას უფლება მიეცეს ქ. ფოთში გახსნას სანიტარული განყოფილება, სადაც მთავრობამ თავისი წარმომადგენელი უნდა იყოლიოს.

**ჯილდოთა გაუქმება**

1 კანონი ყოფილი რუსეთის იმპერიისა, რომელიც გულისხმობდა საჩუქრებს და მოხელეთათვის დახმარების აღმოჩენას, უნდა იქნას გაუქმებული და ამ კანონის გაუქმების კანონ-პროექტის შემუშავება დაევალოს ფინანსთა მინისტრს.

2) უკვე მიცემული ფული ზოგიერთ სამინისტროების მიერ, ჩაითვალოს, როგორც დახმარება უბედური შემთხვევისათვის და ჯილდოთ ზედმეტი მუშაობისათვის.

**სასამართლოს გაერთიანება**

დაევალოს იუსტიციის მინისტრს მთავრობის იურის-კონსულტის მონაწილეობით, გამოარკვიოს საკითხი თუ რამდენათ მიზანშეწონილი იქნება არსებულ პირობების გამო სასამართლოს გაეროვნება ან და როგორ შეიძლება ამ საკითხის შემსუბუქება.

**საქართველოს ბიუჯეტი.**

1) საფინანსო და საბიუჯეტო წლის დასაწყისი 1-ად მიღებულ იქნას 1 ივნისი და მის ბოლოდ შემდეგი წლის 31 მაისი; ბიუჯეტი სდგება თორმეტი თვით.

2) საბიუჯეტო წლის ანგარიში შესდგეს საკალენდარო ვადის მიხედვით ე. ი. თორმეტ-თვეულათ.

3) გაუქმდეს საშეღავათო ვადები ხარჯთ-აღრიცხვის საერთო წესების 36 და 37 მუხლში და სახაზინო პალატის ინსტრუქციათა 358 და 369 პარაგრაფებში აღნიშნული, ამ უკანასკნელთა გაუქმებით.

4) ყველა კრედიტები, რომელნიც 1918 გაიხსნა ხარჯთ - აღრიცხვათა მიხედვით ჯერ კიდევ—მოუხმარებელნი, დახურულ იქნან 1918 წ. 1 თებერვალს გარდა ათ მილიონიან ფონდიდან მისაღებად ნება დართული კრედიტებისა და აგრეთვე იმ კრედიტთა ასიგნომების, რომელნიც ხაზინებში დარჩენ გადაუხდელი ფულის ნიშნების უქონლობის გამო. უკანასკნელ შემთხვევაში უსარგებლოდ დარჩენილნი კრედიტები 1919 31 მაისს დახურულ იქნენ.

5) 1919 წლის 1 იანვრიდან ვიდრე 31 მაისამდე საგასავალო კრედიტები გაიხსნებიან პარლამენტის მიერ თვიური თანხების მიხედვით.

6) მიეცეს ფინანსთა მინისტრს უფლება უწყებებისათვის 1919 წ. იანვრის თვეში კრედიტების გახსნისა თვიური საჭიროების რაოდენობის მიხედვით თანახმად მათ უწყებათა მიერ, ფინანსთა მინისტრისადმი, საბიუჯეტო ცნობების მოწოდებისა.

7) დაევალოს ყოფილ სამინისტროებს საბიუჯეტო 1919 1920 წლების ხართ-აღრიცხვის პროექტი წარმოუდგინონ ფინანსთა სამინისტროს 1919 წ. იანვრის დამლევამდე.

8) შემოსავალი აიკრიბება მთავრობის მიერ საერთო შემოსავლის გაწესრიგებიდან თანახმად არსებული კანონისა

9) ფინანსთა მინისტრს ევალება წარადგინოს პარლამენტში 1919—1920 წ. საბიუჯეტო პროექტი 1 აპრილისათვის.

10) შტატისა და შტატს-გარეშე ხარჯებისთვის 10 მილ. ფონდიდან კრედიტების გაღება გაუქმებულ იქმნას.

11) ამ მოხსენების 1, 2 და მე-3-ე მუხლი წარედგინოს პარლამენტს დასამტკიცებლათ.

—

# ჩვენი კანდიდატები დამფუძნებელ კრებისთვის

# სია № 2.

**საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიისა საქართველოს დამფუძნებელი კრებისათვის.**

1. ნიკოლაძე ნიკოლოზ (ნიკო) იაკობის ძე, პარლამენტის წევრი, საქართველოს დელეგაციის წევრი საზავო კონფერენციაზე.

2. კედია სპირიდონ მალხაზის ძე, პარლამენტის წევრი, ეროვ.-დემოკრატიულ პარტიის მთავარი კომიტეტის თავმჯდომარე.

3. წერეთელი მიხეილ (მიხაკო) გიორგის ძე, საქართველოს ელჩი შვეციაში.

4. ქიქოძე გერონტი დიმიტრის ძე, პარლამენტის წევრი, გაზ. „საქართველოს" რედაქტორი.

5. გვაზავა გიორგი ბეჟანის ძე, ნაფიცი ვექილი, საპარლამენტო ფრაქციის თავმჯდომარე.

6. თაყაიშვილი ექვთიმე სვიმონის ძე, პარლამენტის თავმჯდომარის ამხანაგი, სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი.

7. მაჭავარიანი იოსებ კონსტანტინეს ძე, ნაფიცი ვექილი, პარლამენტის წევრი.

8. ასათიანი ალექსანდრე სამსონის ძე, პარლამენტის წევრი, ნაფიცი ვექილის თანაშემწე.

9. სურგულაძე პეტრე როსტომის ძე, ჟურნალისტი.

10. ამირეჯიბი შალვა გრიგოლის ძე, პარლამენტის წევრი, ჟურნალისტი.

11. ივანიცკი რაფიელ (რ. ინგილო) ალექსანდრეს ძე, პარლამენტის წევრი, იურისტი.

12. ლორთქიფანიძე იასონ მერაბის ძე, პარლამენტის წევრი, ამიერ-კავკასიის ბანკის გამგე.

13. გოთუა პართენ ალექსანდრეს ძე, სამეურნეო ბანკის დირექტორი, ქალაქის ხმოსანი.

14. მარგველაშვილი ტიტე თადეოზის ძე, ფილოსოფიის დოქტორი, მთავარი საერობო ინსტრუქტორი.

15. თორაძე ალექსანდრე დავითის ძე, ქუთაისის ქალაქის ხმოსანი, პარტიის საგუბერნიო კომიტეტის თავმჯდომარე.

16. ზურაბიშვილი ივანე ივანეს ძე, ნაფიცი ვექილი, საქართველოს დელეგაციის მრჩეველი.

17. წერეთელი ვასილი გიორგის ძე, პარლამენტის წევრი, ჟურნალისტი. ექიმი.

18. შევარდნაძე მიხეილ ირაკლის ძე, უფლების დოქტორი.

19. ჩიქოვანი ილია მანუჩარის ძე, ფინანსთა სამინისტროს საგანგებო რევიზორი.

20. ჯაყელი ნიკოლოზ იოსების ძე, ნავთის მრეწველი.

21. ქეკელიძე კორნელი-დეკანოზი, სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი.

22. დანელია სერგო იოსების ძე, ფოთის გიმნაზიის დირექტორი.

23. ხანანაშვილი იოსებ სოლომონის ძე, ჟურნალისტი, ქართველი ისრაელი.

24. წვერავა ნიკოლოზ ესტატეს ძე, თბილისის ხმოსანი, ქართველ ვაჭარმრეწველთა კავშირის თავმჯდომარე.

25 ჯაფარიძე ტრიფონ მიხეილის ძე, ქუთაისის ეპარქ. გიმნაზიის დირექტორი.

26. მიქელაძე ვლადიმერ სიმონის ძე, ფინანსისტი. საზოგადო მოღვაწე.

27. ცინცაძე იაკობ თომას ძე, (იაქალაძე) იურისტი, მწერალი.

28. ჯაფარიძე ლევან (ლელი) სიმონის ძე, ლიტერატორი.

29. თავდგირიძე ნიკოლოზ ყარამანის ძე, სამუნიციპალო მოღვაწე.

30. საყვარელიძე ალექსანდრე სიმონის ძე, ნაფიცი ვექილი, ქუთაისის საურთიერთო ბანკის თავმჯდომარე.

31. ვართაგავა იპოლიტე პეტრეს ძე, მწერალი, საკათალიკოსო საბჭოს წევრი.

32. ოცხელი იოსებ ივანეს ძე, ქუთაისის გიმნაზიის დირექტორი.

33. ჟიჟიანი ვასილ როსტომის ძე, სამეურნეო ბანკის თავმჯდომარე.

34. გორდეზიანი გიორგი პავლეს ძე, ნაფიცი ვექილი.

35. პურადიშვილი ივანე ისაკის ძე, აზოვ-დონის ბანკის ქუთაისის განყოფილების მმართველი.

36. კვირკველია დავით ბესარიონის ძე, ნაფიცი ვექილი, ქართულ იურიდიულ საზოგადოების თავმჯდომარე.

37. დადიანი იოსებ იულონის ძე, ინჟინერი, ნავთის მრეწველი.

28. ძიძიშვილი ნოე სიმონის ძე, იურისტი, კომერსანტი.

39. მამულაიშვილი ლევან ქაიხოსროს ძე, იურისტი, ნავთის მრეწველი.

40. თუმანიშვილი პავლე იოსების ძე, საზოგადო მოღვაწე, ქველმოქმედი.

41. იოსელიანი ნიკოლოზ პეტრეს ძე, იურისტი, ნავთის მრეწველი.

42. პაპავა ბარნაბ ამბაკოს ძე, ინჟინერი შავი ქვის მრეწველი.

43. მეუნარგია იონა მიხეილის ძე, მწერალი, ზუგდიდის მაზრის ერობის ხმოსანი.

44. სულუხია მოსე ივანეს ძე, გერმანულ-კავკასიური ბანკის დირექტორი.

45. საბახტარაშვილი მიხეილ ალექსანდრეს ძე, ნაფიცი ვექილის თანაშემწე.

46. ჯავახიშვილი (ადამიშვილი) მიხეილ საბას ძე, ჟურნალისტი.

47. ციცქიშვილი ვასილ მიხეილის ძე, მასწავლებელი.

48. ელიავა გრიგოლ ლავრენტის ძე, ექიმი, ბათომის ხმოსანი.

49. ქიტიაშვილი ზაქარია დიმიტრის ძე, ქიმიკოსი, გორის ვაჭარ-მრეწველთა საზოგადოების თავმჯდომარე.

50. ჟორდანია გიორგი თევდორეს ძე, ნაფიცი ვექილი.

51. დუმბაძე დიმიტრი მოსეს ძე, პედაგოგი, ჟურნალისტი, საქართველოს პრესბიუროს თავმჯდომარე.

52. ნასიძე ივანე აბრამის ძე, ნაფიცი ვექილის თანაშემწე.

53. ბერელაშვილი ვასილ გერასიმეს ძე, მრეწველი, თბილისის საბჭოს ხმოსანი.

54. ედილაშვილი ზაქარია (ზ. ედილი) ერმოლოზის ძე, მწერალი.

55. მოსეშვილი ბართლომე პავლეს ძე, ქუთაისის ვაჭარ-მრეწველთა კავშირის თავმჯდომარე.

56. მაჭავარიანი გიორგი ლუარსაბის ძე, ნოტარიუსი.

57. ხუსკივაძე თეოფილე იესეს ძე, ნოტარიუსი, ბელეტრისტი.

58. ალხაზიშვილი ილია სოლომონის ძე, ფარმაცევტი, საზოგადო მოღვაწე.

59. გველესიანი იოსებ იოსების ძე, ვაჭარი, ქართველ ვაჭარ-მრეწველთა კავშირის გამგეობის წევრი.

60. დადიანი ილია ილიას ძე, იურისტი, ზუგდიდის ქალაქის თავი.

61. ჯაიანი ბესარიონ ლევანის ძე, ბუღალტერი.

62. გეჯეჯიანი გიორგი სტეფანეს ძე, მასწავლებელი.

63. კალანდაძე დავით იაგორის ძე, პროვიზორი, ქართველ ვაჭარ-მრეწველთა კავშირის გამგეობის წევრი.

64. ბარათაშვილი გრიგოლ საჩინოს ძე, ნაფიცი ვექილი.

65. ჯანელიძე გრიგოლ არქიპოზის ძე, პროვიზორი.

66. ახვლედიანი ვარლამ სოლომონის ძე, პროვიზორი.

67. მგალობლიშვილი ვასილ გიორგის ძე, ამიერ-კავკასიის ბანკის რწმუნებული ბათუმში.

68. კლიმიაშვილი ზაქარია მიხეილის ძე, თელავის გიმნაზიის დირექტორი.

69. გვალია მიხეილ ოტიას ძე, ნოტარიუსი, ზესტაფონის ქალაქის თავის მოადგილე.

70. გრიგოლაშვილი ალექსანდრე პლატონის ძე, კომერციის ინჟინერი.

71. გოგიტიძე გერმან იოსების ძე, ოზურგეთის ხმოსანი.

72. გამრეკელი ალექსანდრე ივანეს ძე, მრეწველი.

73. ჯავახიშვილი იასონ ვლადიმერის ძე, იურისტი.

74. ელიოზიშვილი კონსტანტინე მალხაზის ძე, ექიმი.

75. მიქელაძე ნიკოლოზ ლავრენტის ძე, ნაფიცი ვექილის თანაშემწე.

76. შალიბაშვილი გიორგი მიხეილის ძე, თბილისის საოლქო სასამართლოს პროკურორის ამხანაგი.

77. ტატიშვილი შალვა გრიგოლის ძე, ნაფიცი ვექილის თანაშემწე.

78. ყუფარიძე ბარნაბ სოლომონის ძე, ქუთაისის ვაჭ.-მრეწველთა კავშირის გამგეობ. თავმჯდომ. ამხანაგი.

79. კასრაძე დავით ილარიონის ძე, იურისტი.

80. ჭუნაძე პავლე ნიკოლოზის ძე, ქუთაისის საურთიერთო ბანკის დირექტორი.

81. აბაშიძე გიორგი მინას ძე, პედაგოგი, მწერალი.

82. ჯანდიერი ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე, ექიმი.

83. გედევანიშვილი რევაზ ალექსანდრეს ძე, აგრონომი, სოფლის მეურნე.

84. ძებნიაური მიხეილ მათეს ძე, სოფლის მეურნე.

85. იმხნელი ზაქარია ნიკოლოზის ძე, პედაგოგი.

86. ოქროპირიძე ბესარიონ იროდიონის ძე, ექიმი.

87. ჯაფარიძე ალექსანდრე რომანის ძე, პედაგოგი.

88. გვერწითელი გაბრიელ ივანეს ძე, ექიმი, გორის საერობო ხმოსანი.

89. ამაშუყელი გრიგოლ არჩილის ძე, ექიმი.

90. ყაზბეგი ნიკოლოზ დიმიტრის ძე, გიმნაზიის მასწავლებელი.

91. მარუაშვილი მინა მალაქიას ძე, ექიმი.

92. ბებერიშვილი ამბროსი ბესარიონის ძე, გორის გიმნაზიის ინსპექტორი.

93. მურმანიშვილი მიხეილ ზურაბის ძე, აგრონომი.

94. ლოლობერიძე დავით სიმონის ძე, დამზღვევ საზოგადოების ინსპექტორი.

95. გამყრელიძე სამსონ იოთამის ძე, ახალსენაკის ქალაქის ხმოსანი.

96. ხერხეულიძე მიხეილ ზურაბის ძე, გაზეთ „ახალი ძალის" რედაქტორი.

97. ფლენტი ილარიონ მოსეს ძე, პედაგოგი.

98. კლიმიაშვილი ნესტორ მიხეილის ძე, ექიმი.

99. დალაქიშვილი ევგენი გიორგის ძე, მასწავლებელი მეურნე.

100. მგალობლიშვილი ვარლამ მიხეილის ძე, გორის ვაჭარ-მრეწველთა კავშირის საბჭოს წევრი.

101. უხურგუნაშვილი რაჟდენ სოლომონის ძე, გორის ქალაქის ხმოსანი.

102. კაიშაური ნიკოლოზ ანდრიას ძე, კოოპერატორი.

103. [illegible] ძე, [illegible]

104. [illegible] სოფლის მეურნე.

105. [illegible] რიონის ძე, [illegible]

106. [illegible] ძე, [illegible]

107. [illegible] ზის ძე, არტილერიის ჯარისკაცი.

108. კვარაცხელია ლავრენტი თადეოზის ძე, ზუგდიდის ქალაქის ხმოსანი.

109. კიკნაძე ალექსანდრე ილიას ძე, სოფლის მეურნე.

მიწათ-მოქმედების მინისტრის კანონ-პროექტი საქართველოს იმ მიწების შესახებ, რომელიც დასტოვეს გადმოსახლებულებმა, მოწონებულ იქნას და წარედგინოს პარლამენტს დასამტკიცებლად.

**ცხენოსანი მფრინავი რაზმი.**

შინაგან საქმეთა მინისტრის შუამდგომლობა ცხენოსან მფრინავ რაზმის არსებობის ვადის გაგრძელების შესახებ დაკმაყოფილებულ იქმნას.

**„კავკაზსკოე სლოვო".**

მიენდოს შინაგან საქმეთა მინისტრს ნება დართოს გაზეთ „კავკაზსკოე სლოვოს" გამოცემისა იმ შემთხვევაში თუ ეს ორგანო იდგება საქართველოს დამოუკიდებლობის ნიადაგზე.

# ქრონიკა

**მხატვრული კაბარე.** კვირას, 26 იანვარს საჩაიე „ძმურ ნუგეშში" გაზეთ „საქართველოს" ფონდის სასარგებლოდ გაიმართება დიდი მხატვრული კაბარე, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ ტრიო ბ. ბუშის მეთაურობით, მომღერლები, პოეტები, არტისტები და სხ. შესასვლელი ფასი საღამოს 7 საათიდან 5 მან. კაბარე და ვახშამი შუაღამის 3 საათამდე გაგრძელდება.

**კრება.** დღეს, საღამოს 6 საათზე, სამეურნეო საზოგადოების დარბაზში („გრუზია"-ს რედაქციის გვერდით) შესდგება საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის ქ. თბილისის მე-2 რაიონის წევრთა საზოგადო კრება. დღის წესრიგი: 1) რაიონის კომიტეტის ანგარიში, 2) ახალ კომიტეტის არჩევნები.

**ტრამვაის მოსამსახურეები არჩევნების შესახებ.** თბილისის ტრამვაის მოსამსახურეთა პროფესიონალურ კავშირის გამგეობამ თავის უკანასკნელ სხდომაზე მოისმინა მოხსენება ქალაქის მოსამსახურეთა კავშირის კომიტეტის მიერ ქალაქისა და დამფუძნებელ კრების არჩევნების წესრიგის

...მო პროტესტის გამოცხადებისა და ...ადგინა: 1) ენერგიული პროტესტი ...მოუცხადოს ქალაქის მოსამსახურე...ა კავშირის კომიტეტს, 2) გასწყვიტოს კავშირი ქალაქის თვითმართველობის მოსამსახურეთა აღმასრულებელ კომიტეტთან. და ეცნობოს 3) ქალაქის გამგეობას, რომ ქალაქის მოსამსახურეთა კავშირის გამგეობის მიერ ...ცხადებულ პროტესტში ტრამვაის მოსამსახურეთა კავშირის პროსტი არ ...დის.

**გაიხსნა ქართული საბავშვო ბა...** გამოცდილი პედაგოგი და ფრებელისტი ქალის ხელმძღვანელობით მსურველთა მიღება სწარმოებს. სასწავლო საქმე: პრაქტიკულათ შესწავლა ...ანგული ენისა, მუსიკა, გიმნასტიკა, ...მრავი სათამაშო, ხატვა, ძერწვა და ...აკითხვა მოზრდილთათვის, აგრეთვე შვიდის წლის ბავშვების მომზადება გიმნაზიის მოსამზადებელ კლასისათვის. გაზაფხულზე და ზაფხულზე ...ვლება სწარმოებს ცის ქვეშ ბაღ...ი. მისამართი: მიხეილის ქ. 107, ყოველ დღე 1—2 ს.

**მატარებლების მიმოსვლა საბავშვო ადგილებში.** საბავშვო ადგილებში 20 იანვრიდან მატარებლების მიმოსვლა აღდგენილია. მატარებლები ...ლო სადგურ სანაინამდე მიდის.

**შემოწირულება.** თბ. სახელმწიფო უნივერსიტეტის სასარგებლოდ შეწირეს: 1) ნიკო სიმონის ძე ავალიანმა მის მიერ ქალაქ ტერმეზში ...როვილი 508 მ. და 5 კ.; 2) გიორგი სიმონის ძე სვანიძემ 4,000 მ. უნივერსიტეტის ფონდისათვის; 3) ექ. ნიკ. ...ოქიშვილისაგან მის მიერ შეგროვილი სამკურნალო ფაკულტეტის მოწყობად 800 მანეთი.

უნივერსიტეტის გამგეობა ულრმეს ...ლობას მოახსენებს შემომწირველთ.

## მხატვრული ქრონიკა

**ქართულ დრამატიულ საზოგადოების ბათუმში წასვლა.** ქართული დრამატიული საზოგადოება და ქართული ...რო მ. კავსაძის ლოტბარობით, რომელნიც ინგლისელების მიერ, „ჰამლეტის" წარმოსადგენად ბათუმში არიან მიწვეულნი, თბილისიდან შაბათს საგანგებო მატარებლით წავლენ.

**ქართული ოპერა.** დღეს 24 იანვრის სახელმწიფო თეატრში ოპერა „...ემონი" დაიდგმება ქართულ ენაზე ვ. მირიანაშვილის თარგმანით და ...ტვარ ზალცმანის ახალი დეკორაციებით. წარმოდგენას დაესწრებიან ...ცხო ერთა წარმომადგენელნი და ინგლისის დელეგაციის მეთაურნი გენ. ...ორელ-გონვერტი.

## პროვინციის ცხოვრება

### ს. რიონი

...ავაზაკები თავს დაესხნენ ვარ. მეტ...ეველს და 15000 მანეთის ღირებული საოჯახო ნივთეული წაიღეს.

### ს. მუხიანი

ახლად გაჩენილ შავ სახადმა დიდ...ლი ხალხი იმსხვერპლა.

### ს. ჩხარი

ძარცვა-გლეჯა გახშირდა.

### ქვემო ხანდაკი

...კავთისხევის რაიონს საქონლის ჭირი მოედო. შველა და ექიმი არსაიდან ...ი.

## მოკავშირეთა ჯარ. მთავარ სარდ. გენ. მილნი მთ. თავმჯდომარესთან

ჩვენს გაზეთში უკვე იყო ცნობა, რომ მოკავშირეთა ჯარების მთავარსარდალი აღმოსავლეთში. გენ. მილნი ...დარბაზოდ იყო საქართველოს მთავრობის თავმჯდომარესთან. დარბაზობის დროს ბ-ნ ნოე ჟორდანიას შემდეგი სიტყვებით მიუმართავს ბ-ნ მილნისთვის: „საქართველოს მთავრობის სახელით მოგესალმებით პატივცემულო გენერალო და ვამბობ კეთილი იყვეს თქვენი მოსვლა ჩვენს ქვეყანაში.

საქართველოს მთავრობას იმედი ...ქვს, რომ თქვენ შეადგენთ საქართველოს შესახებ აზრს, რომელიც დაფუძნებული იქნება ნამდვილ ფაქტებზე და არა ხმებზე. მთავარი, ყველაზე არსებითი ფაქტი მდგომარეობს იმაში, რომ რუსეთის ...იდ რევოლუციის უდიდეს სივრცეზე ქართველი ხალხი აღმოჩნდა ყველაზე შეკავშირებული, ყველაზე დისციპლინიანი და ყველაზე შემძლე, რომ თავი დაეცვა ანარქიისაგან, რომ დაემყარებინა წესრიგი და თავისუფლება თავის ტერიტორიაზე. ჩვენ ძალიან კმაყოფილნი ვართ იმ გარემოებით, რომ გენერალი ფორესტ-უოკი, მთავარსარდალი ინგლისის ჯარების კავკასიაში აღმოჩნდა პირველი კაცი, რომელმაც სისწორით გაიგო საქმის მდგომარეობა ჩვენს ქვეყანაში და ჩვენ, მეორეს მხრივ, შეძლება გვქონდა სისწორით და გარკვევით გაგვეგო მისწრაფებანი და სურვილები ინგლისის ნაციისა. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ეს ურთიერთის გაგება, მომავალში გახდება კეთილ დამოკიდებულობისა ინგლისსა და საქართველოს შორის. ჩვენ ერთხელ კიდევ გეუბნებით თქვენ, დიდათ პატივცემულო გენერალო—კეთილი იყვეს თქვენი მოსვლა".

საპასუხოდ გენ. მილნმა შემდეგი სთქვა: „ჩვენ მოვედით აქ, როგორც დიდი და თქვენთან მეგობრული ძალის წარმომადგენელნი. გენ. უოკერს, ჩვენს სრულუფლებიან წარმომადგენელს, ბოძებული აქვს სრული ავტორიტეტი ყველა თავის გამოსვლებში. იმედია, რომ მან გაგაცნოთ ყველა ის დებულებანი, რომლებიც საფუძვლად დაედება ჩვენს აქ ყოფნას. ჩვენ თქვენთან საერთო მტერი გვყავს—ესენია გერმანელები და ბოლშევიკები. ორივე ეს ძალა ეწინააღმდეგება კანონიერებას და წესრიგს. ვიმეორებ, ჩვენ მოვედით აქ, როგორც მეომრები. სხვა მოტივები ჩვენ არ გვაქვს. ვაცხადებ, რომ ყოველ მხრივად დაგეხმარებით, თქვენ კი თქვენის მხრივ უნდა გააკეთოთ ყველაფერი, რის ძალაც კი შეგწევთ. დროებით ზავის თანახმად გერმანელები უნდა წავიდნენ კავკასიიდან და რაც უფრო მალე წავლენ, მით უფრო ჩქარა საბოლოოდ განმტკიცდება სიმპატიები ინგლისისა საქართველოსადმი. ერთხელ კიდევ მოგესალმებით თქვენ, როგორც საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტს მოკავშირეთა სახელით".

## ქართველო ამომრჩეველო!

**ეროვნული დემოკრატია სასტიკად ებრძვის სომეხი პლუტოკრატიის ბატონობას საქართველოში და ქალაქის თვითმართველობაში.**

**მიეცით ხმა მეორე ნომრის სიას.**

## მოძრაობა ახალციხის მხარეში.

ჩვენს გაზეთში უკვე იყო ცნობა, რომ ახალციხის მხარეში საქართველოს საწინააღმდეგო მოძრაობა დაწყობილა, რომელსაც მეთაურობენ ოსმალეთის აგენტები.

ახალციხის მაზრაში მომხდარი ამბების გამო საგარეო საქმეთა სამინისტრომ მიმართა ინგლისის ჯარების მთავარსარდალს და საქმის ვითარება გააცნო, რომ არტაანის ოლქიდან ხალილ-ბეის მეთაურობით საქართველოს ტერიტორიაზე შემოიჭრნენ ოსმალთა ასკერები. ამის საპასუხოთ გენ. მილნმა სთქვა, რომ დაუშვებელია ოსმალეთის მხრით სამარი მოქმედება და მიღებული იქნება ენერგიული ზომები, რათა საქართველოს საზღვარი არტაანის ოლქის მიმართულებით დაცულ იქნასო.

ამ ჟამად, როგორც გადმოგვცემენ, მთელს მხარეში უკვე წესიერება დამყარებულა.

**სოციალისტური პარტიები ებრძვიან კერძო საკუთრებას. თუ გინდათ რომ აყვავდეს სახოფლო მეურნეობა, ვაჭრობა-მრეწველობა და საქართველო ქონებრივად მოღონიერდეს, ხმა უნდა მისცეთ ეროვნულ - დემოკრატიულ პარტიის სიას № 2.**

## დეპეშები

(საქ. დეპ. სააგენტო)

**ინგლისელი გენერლის ჩამოსვლა.**

ბათუმი, 21 იანვარი. სტამბოლიდან ჩამოვიდა ინგლისელი მთავარსარდალი გენერალი მილნი, რომელიც მეორე დღესვე თბილისში წავიდა.

**საქართველოს დელეგაცია**

საგანგებო მატარებლითვე წავიდა თბილისს საქართველოს დელეგაციის თავმჯდომარე თოფურიძე.

**გაზეთის განახლება**

გამოვიდა შეწყვეტილი გაზეთი „ბათუმსკია ვესტი" იმავე ლ. გერმანის რედაქტორობით.

**რუსები ბათუმში**

საოლქო საბჭომ თავისი რუსოფილური და შავრაზმული სიცხოველე გაანელა. მისმა თავმჯდომარემ მალოვმა ქობულეთში მიტინგიც კი გამართა და ხალხს ერთგულობაში და გულწრფელობაში ეფიცებოდა. განახლებულ სახელმწიფო დაწესებულებაში ქართველების მიღებაც დაიწყო.

**სომხები ბათუმში**

ბათუმში ბევრმა სომეხმა მოიყარა თავი.

**გიმნაზიის გახსნა**

ბათუმიდან ნატანებში დღეში 2 მატარებელი გადის. ქართველმა ეროვნულმა საბჭომ გადასწყვიტა ქართული გიმნაზიის გახსნა. კომისია ენერგიულად შეუდგა მის განხორციელებას.

## ინგლისური პრესა.

**მუშების მოძრაობა**

ინგლისის მაღაროს მუშების კავშირმა დაადგინა მთავრობას აუწყოს, რომ მათ განზრახული აქვთ 6 საათის სამუშაო დღის შემოღება, თუ მთავრობამ თანხმობა არ განაცხადა, მუშები თვით შეუდგებიან თავის გადაწყვეტილების სისრულეში მოყვანას. კავშირმა აგრეთვე მოითხოვა მაღაროების ნაციონალიზაცია. უკანასკნელ კრებაზე ნახევარ მილიონ ხმით, წინააღმდეგ 23.000-ისა, გადაწყვიტეს მოითხოვონ ავანსათ ჯამაგირის 50 პროცენტი და სამხედრო ავანსების გაგრძელება. უმცირესობა ამ მოთხოვნილებამ არ დააკმაყოფილა.

**სპარტაკელების გამოსვლის ლიკვიდაცია.**

ბერლინში დააპატიმრეს მრავალი სპარტაკელი და ჩამოართვეს დიდ-ძალი იარაღი. ქალაქში სიწყნარეა. გერმანიის სხვა და სხვა ცენტრებიდან მიღებულ ცნობების თანახმად პროვინციაში ჯერ კიდევ დიდი უწესოებაა.

**დროებითი ზავი.**

დროებითი ზავის ვადის გაგრძელებას ხელი მოაწერეს.

**მანუფაქტურა ინგლისში**

მანუფაქტურის ნაციონალურ კავშირის დეპუტაციამ სთხოვა მინისტრ სტანლეის მისცენ ნება განაახლონ და გააძლიერონ საზღვარგარეთიდან საქონლის შემოზიდვა.

**იტალია და დალმაცია**

იტალიის კაბინეტმა უარი სთქვა დალმაციის და საბერძნეთის კუნძულების მოთხოვნაზე, რადგანაც თვით კაბინეტში განხეთქილება მოხდა: სონინოს უნდოდა ამ ადგილების შესახებ დადებულ საიდუმლო ხელშეკრულებათა სისრულეში მოყვანა, ხოლო სოციალისტები კი დათმობის მომხრენი იყვნენ.

## გერმანული პრესა.

**პოლონელების მოთხოვნილება.**

ჩეხო-სლოვაკების პრესბიუროს ცნობით პოლონელი გაზეთები მოითხოვენ პოლონეთის სახელმწიფოებისთვის ახალშენებს,—სახელდობრ: გერმანიის აფრიკაში 100,000 კვ. კილომეტრს და კამერუნს საზღვაო ნაპირით, ერთი ნავთსადგურით მაინც. მომავალ ექსპერიმენტისთვის საინტერესოა—კმაყოფილი იქნებიან თუ არა პოლონეთის მრეწველობით ახალშენის მცხოვრებნი. ჯერ-ჯერობით კი პოლონელების მიერ ევროპაში მართველობის შედეგები არ შეიძლება დახასიათდეს მომავლისათვის საიმედოთ.

**პოლონელები და უკრაინელები.**

ლვოვის გაზეთები იუწყებიან, რომ ტარნოპოლის ოლქში ბრძოლაა პოლონელთა და უკრაინელებს შორის, სადაც მათ ძლიერი ჯარი ჰყავთ მოგროვილი.

**დალმაციის პროტესტი.**

დალმაციის მთავრობამ პროტესტი გადასცა ფრანგების, ამერიკელების და ინგლისელების გემების უფროსებს დემარკაციულ ხაზის დარღვევის (?) გამო.

**სოციალისტების კონგრესი.**

იანვრის 18 ბერნში ჩავიდენ გენდერსონი და გიუსმანი და შვეიცარიელ სოციალისტების თანხმობით 27 იანვრისთვის ბერნში დანიშნეს ინტერნაციონალური, სოციალისტური კონგრესი, იმავე დროს იქნება სინდიკალისტების ინტერნაციონალური კრება.

**სპარტაკელების მსხვერპლი.**

როგორც იუწყებიან სპარტაკელების მოძრაობის მსხვერპლთა რაოდენობა აღწევს ჯერ-ჯერობით 140.

**გაფიცვა ლიბკნეხტის სიკვდილის გამო.**

საყოველთაო გაფიცვა, რომელიც დამოუკიდებელ სოციალისტებმა გამოაცხადეს ლიბკნეხტის და როზა ლიუქსემბურგის მოკვლის გამო და რომელსაც მხოლოდ მუშების მცირე ნაწილი მიემხრო, შაბათს შესწყდა.

**ლიბკნეხტის სიკვდილის გამოძიება.**

სამხედრო საბჭოს წევრს კურცდიგს დაევალა ლიბკნეხტის მკვლელობის გამოძიება. როზა ლიუქსემბურგის საქმის გამოძიება სამხედრო საბჭოს მეორე წევრს დაავალეს.

**ბოლშევიკები და სპარტაკელები.**

გერმანიის მთავრობამ ენერგიული პროტესტი განაცხადა იმის გამო, რომ რუსის ბოლშევიკები ეხმარებოდენ სპარტაკელებს. გერმანიის მთავრობა სასტიკ ზომებს მიიღებს გერმანიაში მცხოვრებ იმ რუსების წინააღმდეგ, რომელნიც სპარტაკელების დახმარებაში შემჩნეულნი იქნებიან.

**ეროვნულ ყრილობაზე გერმანიაში.**

ბერლინის გაზეთებში ბევრს სწერენ იმის შესახებ, თუ რომელ ქალაქში უნდა მოხდეს ეროვნულ ყრილობის კრებები. გაზეთების უმრავლესობა იმ აზრისაა, რომ ეროვნული ყრილობა უსათუოდ ბერლინში უნდა მოხდეს.

კვირას, ინვრის 19. ბერლინში სრული სიწყნარე იყო, თუმცა არჩევნებისადმი ინტერესებმა აუარებელ ხალხს მოუყარა თავი ქუჩებში. ხალხი საუცხოვო წესრიგით დაეწყო და საარჩევნო პუნქტებისაკენ გაემართა. ხალხს დილა ადრიანათ მთელი საათობით უხდებოდა საარჩევნო პუნქტებთან დგომა. წესიერების დასაცავათ, ყოველ შემთხვევისთვის, ბერლინის ყველა უბნებში დააყენეს ჯარისკაცთა რაზმები. მაგრამ შუადღემდე ისინი საჭირო არ გახდენ. მთელი ქალაქი გაივსო საარჩევნო მოწოდებებით და პლაკატებით. ქალაქში საარჩევნო კამპანიამ ამერიკული ხასიათი მიიღო. დიდი დემონსტრაციები გაიმართა მხოლოდ დახურულ შენობებში სამხედრო ბრძანებების გამო. მორთული ვაგონები და ქალაქის თვითმართველობის მორთული შენობა მოაგონებდა საყველიერო დღესასწაულს. ჯარის კაცებმა რომელთაც პირველათ მიეცათ საარჩევნო უფლება, დიდი მონაწილეობა მიიღეს საარჩევნო კამპანიაში; მათ უთანხმოება არსად მოსვლიათ უფროსებთან. საარჩევნო პუნქტებში აშკარა იყო, რომ ქალები აღემატებოდენ მამაკაცთ. ბოლო დროს გავრცელდა შიში, რომ თუ ეროვნულ ყრილობის შემადგენლობა და მუშაობის შედეგი არ შეეთანხმება ებერტ-შეიდემანის თავის მთავრობის პოლიტიკას. ის შეადგენს თავის პროგრამას ეროვნულ ყრილობის დამოუკიდებლათ. ამის გამო ნახევრად ოფიციალური გაზეთი „დეიტშე გერმანე ციატუნგ" აცხადებს: ებერტი და შეიდემანი. მტკიცეთ სდგანან დემოკრატიულ პლატფორმაზე და სურთ, რომ გერმანიის ბედი გადაწყვიტოს თვით ხალხმა, რომელიც თავის სურვილს ეროვნულ ყრილობაზე გამოსთქვამს. საქმე აქ პარტიულ საკითხში კი არ არის, არამედ იეი ეხება მთელი გერმანიის ხალხის ინტერესებს.

**გაფიცვები ზემო სილეზიაში.**

ზემო სილეზიაში მომხდარ გაფიცვების დროს სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციამ უარი განაცხადა გაფიცვებში მონაწილეობის მიღებაში. მოლაპარაკება ორშაბათს გაგრძელდება. მთავრობამ საწარმოვო დაწესებულების ნაციონალიზაციის წინადადება მისცა, რისთვისაც კომისია უნდა აირჩიონ.

**ბოლშევიკების ფრონტზე**

**მოსკოვი,** ც. ა. კ. ბეჭდვითი ბიუროს ბიულეტენი. (დასაწყისი არ მიგვიღია). დობელნის რაიონში ლატიშელთა წითელ არმიელების ნაწილებმა ხელთ იგდეს 3 ტყვიისმფრქვეველი. დობელნის ჩრდილოეთ დასავლეთით ბრძოლა გრძელდება. დასავლეთის ფრონტი გროდნენის მიმართულებით ლიტოველთა წითელგვარდიელებმა ბუდილკი და ლიგონი დაიჭირეს ოვრუჩის მიმართულებით ოვრუჩი დაიჭირეს, სამხრეთის ფრონტი. ესტრატოვკის მიმართულებით ჩვენმა ჯარმა რკინის გზის ხაზი დაიჭირა. ხელთ იგდო ზარბაზნები და ტყვიისმფრქვევლები. პოვტრინის მიმართულებით ჩვენმა ჯარმა ბრძოლით დაიჭირა სადგური ალექსიკოვი და სოფელი გრაჩევსკო.

**აღმოსავლეთის ფრონტი.** ურალის მიმართულებით ჩვენმა ჯარმა დაიჭირა სოფ. ტიოპლი. ორენბურგის მიმართულებით ჩვენი ჯარის წინსვლა გრძელდება. ჩვენმა ჯარმა გრიაზნოირკეთი დაიჭირა. სტერლიტამაკსკის მიმართულებით ჩვენმა ჯარმა რამოდენიმე სოფელი დაიჭირა, უფის რაიონში ჩვენი ჯარი რკინის გზის ორივე მხარეზე ებრძვის მოწინააღმდეგეს.

**ხარკოვი.** 21 იან. 16 საათის ბრძოლის შემდეგ პოლტავა უკრაინის საბჭოთა ჯარმა დაიჭირა. ხელთ იგდეს ჯავშნიანი მატარებელი, 2 ბატარეია და მრავალი იარაღი. მოწინააღმდეგე კრემენჩუგისკენ გარბის.

## საქართველოს პარლამენტში.

(ორშაბათი იანვრის 20).

**აგრარული კანონ-პროექტი.**

კრებას ხსნის 1. ს. 15 წ. იოსებ ბარათაშვილი.

გრძელდება კამათი აგრარული კანონ-პროექტის შესახებ.

სოც.-დემ. ფრაქციას წინადადება შემოაქვს ორატორთა ლაპარაკის დრო 20 წამით განისაზღვროს.

**ს. დადიანი** (ს.-ფ.) წინააღმდეგია ამის და მოითხოვს, რომ მოხდეს ფრაქციათა შორის შეთანხმება და თითო ფრაქციის თითო წარმომადგენელს მიეცეს სალაპარაკოდ 1 საათი, ხოლო დანარჩენებს ოც-ოცი წამით.

კრება დროებით სწყდება და ფრაქციები თანხმდებიან ს. დადიანის წინადადებაზე.

# საარჩევნო მუშაობა

**ეროვნულ - დემოკრატიული პარტიის საკანდიდატო სიის № საქართველოს დამფუძნებელ კრების და ქალაქ თბილისის არჩევნებში არის**

# № 2

**პარტიული ორგანიზაციები უნდა შეეცადონ, რომ ყველგან, საქალაქო არჩევნებშიაც, ჩვენი პარტია ამ №-ით გამოვიდეს.**

## პარტიულ ორგანიზაციებს

ცენტრალური საარჩევნო კომიტეტი ავალებს ყველა პარტიულ ორგანიზაციებს და იმ პირთ, რომელთაც კომიტეტისაგან მიღებული აქვს რაიმე დავალება, სწრაფად აცნობონ ცენტრალურ კომიტეტს საქმის ვითარება, და ყოველი საყურადღებო ცნობა, რომ საარჩევნო კომპანიაში შესაძლებელი იქნეს ყველა პარტიულ დაწესებულებათა მტკიცე ორგანიზაციაში შეკვრა.

## ცენტრალურ საარჩევნო კომიტეტისგან

**ქუთაისის საგუბერნიო, სამაზრო და ყველა სარაიონო კომიტეტებს.**

ყველა საარჩევნო კომისიებში და საარჩევნო ყუთებთან აუცილებლად უნდა იყვნენ ჩვენი პარტიის წარმომადგენელნი. ბოროტ მოქმედებათა ასაცილებლად, საარჩევნო ყუთები ჩვენი პარტიის ბეჭდითაც უნდა დაიბეჭდოს.

## პარტიის წევრთა და თანამგრძნობთ

ეროვნ.-დემოკრ. პარტიის ცენტრალური საარჩევნო კომიტეტი სთხოვს ყოველ პარტიის წევრს და თანამგრძნობს, რომელნიც მიემგზავრებიან პროვინციაში, წასვლის წინ შემოიარონ ცენტრალურ კომიტეტის ბინაზედ, სასახლის ქუჩა 5. და იკისრონ სხვა და სხვა საჭირო და საჩქარო დავალება საარჩევნო კომიტეტისაგან.

კომიტეტი ესეთივე თხოვნით მიმართავს იმ პირთაც, რომელნიც პროვინციიდან ბრუნდებიან აცნობონ კომიტეტში, ან რომელიმე კომიტეტის წევრს მდგომარეობა იმ მხარისა, საიდანაც ზემოხსენებული პირი მობრძანდება.

## პარტიულ ახალგაზდობას!

საარჩევნო კომპანია დაიწყო.

არჩევნების შედეგი ჩვენს მუშაობაზედ არის დამყარებული.

ეროვნულ-დემოკრატიული ახალგაზდობა უნდა ამოქმედდეს მთელი თავისი ენერგიით.

ყოველი პარტიის წევრი და თანამოაზრე უნდა გამოცხადდეს პარტიულ კომიტეტებში და მიიღოს სათანადო დავალება.

...თბილისში ...ული ...ნდა გამოცხადდნენ მთავარი კომიტეტის ბინაზედ, სადაც იმყოფება ცენტრალური საარჩევნო კომიტეტები და ჩაებან საარჩევნო მუშაობაში.

ყოველი კაცის გარჯა დიდ ნაყოფს გამოიღებს!

## საარჩევნო სიები

თბილისის ქალაქის გამგეობამ გამოაქვეყნა ქალაქის საარჩევნო სიები, მაგრამ მათ სასტიკი შესწორება სჭირდებათ. მრავალი ამომრჩეველი სრულებით შეტანილი არ არის; მრავალი ამომრჩევლის ბარათი დახეულია იმ ბოროტმომქმედთა მიერ, რომელთაც 10,000 ბარათი გაანადგურეს ქალაქის ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში.

ყოველი მოქალაქე ვალდებულია თითონ მოიკითხოს თავის საარჩევნო უბანში და გაიგოს შეტანილია თუ არა სიაში; თუ შეტანილი არ არის სიაში, თითონ შეატანიოს თავი, წერილებით ან სიტყვიერათ.

რომ სიაში შეტანილ იქმნენ, ქართველებს არავითარი საბუთები არ სჭირდებათ გარდა მეტრიკული მოწმობისა და ისიც იმ შემთხვევაში, თუ შეხედულება 20 წელზედ ნაკლები აქვს.

ამ სიებით მოხდება საქალაქო არჩევნებიც 2 თებერვალს და დამფუძნებელი კრებისაც 14, 15, 16 თებერვალს. ვინც ეხლა არ მოხდება სიაში, ის ვერც ერთს არჩევნებში მონაწილეობას ვერ მიიღებს.

ისწრაფეთ შეიტანონ შესწორებანი სიებში.

სიების გასწორებისთვის მხოლოდ ორი დღე დარჩა: 24 და 25 იანვარი.

საუბნო კომიტეტები მოთავსებულია შემდეგ ადგილებში:

1) საარჩევნო უბ. ქალაქის პირველდაწყებითი სასწავლებელი, ოლღას ქუჩა, 52, სახლი მაჩაბლისა.

2) საარჩევნო უბ. პირველი ვაჟთა გიმნაზია, გოლოვინის პრ.

3) საარჩევნო უბ. მესამე ვაჟთა გიმნაზია, ლერმონტოვის ქუჩა.

4) საარჩევნო უბ. მანთაშევის ქარვასლა, სომხის ბაზარი № 62.

5) საარჩევნო უბ. პუშკინის ქალაქის სასწავლებელი, ვარანცოვის ქუჩა.

6) საარჩევნო უბ. ნადეჟდის თავშესაფარი.

7) საარჩევნო უბ. ავლაბრის კლუბი, ზამთრის შენობა.

8) საარჩევნო უბ. პირველი საკომერციო სასწავლებელი.

9) საარჩევნო უბ. ქალაქის სასწავლებელი პეტრე დიდის სახელითა, ჩერქეზიშვილის ქუჩა 29.

10) საარჩევნო უბ. სახალხო სახლი ზუბალაშვილისა.

11) საარჩევნო უბ. ნაძალადევის თეატრი, ჩერქეზიშვილის ქუჩა.

12) საარჩევნო უბ. რკინის გზის სასწავლებელი.

13) საარჩევნო უბ. საბურთალოს კომისარიატი.

განცხადებების შეტანა შეიძლება დილის 9 საათიდან საღამოს 9 საათამდე.

## მიტინგი

**კვირას, დილის 11 საათზე, ქართულ კლუბში გაიმართება ერ.-დემოკრატების, რადიკალ-დემოკრატების და უპარტიოთა მიტინგი ქალაქის არჩევნების შესახებ. სიტყვებს წარმოსთქვამენ: გვაზავა გიორგი, ასათიანი ალექსანდრე, გოთუა პართენი და სხვანი.**

## პროვინციაში

### სამეგრელო.

**დ. აბაშა.** შესდგა, ამა წლის იანვრის ცხრამეტს, ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის თანამოაზრეთა კრება, რომელსაც დღესასწაულის მიუხედავად მრავალი თანამოაზრენი დაესწრენ. კრების მიზანი იყო ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის ორგანიზაციის დაარსება. კრებას ახალი სენაკიდან დაესწრნენ ამხ. კალისტრატე მისაბიშვილი და ხოფერია, რომელთაც კრებას განუმარტეს ერ.-დემოკრატიული პარტიის პროგრამა და აგრეთვე გააცნეს კრებას ამ პარტიის მუშაობა. კრება მათს სიტყვას მხურვალე ტაშით შეხვდა. შემდეგ კრება გადავიდა პარტიულ მუშაობაზე. ცხრამეტს და ოცს წევრად ჩაეწერა სამასამდე ამხანაგი. ერთი რამ არის საკვირველი: დამფუძნებელი კრების არჩევნების დროს დ. აბაშის საარჩევნო ყუთში აღმოჩნდა, რომ ეროვნულ-დემოკრატიულ სიისათვის მიუცია ხმა ოცდა რვა ამომრჩეველს, ისიც საიდუმლოდ; დღეს-კი, ერთი დღის განმავლობაში სამასი კაცი ეწერება ამ პარტიაში! რას ნიშნავს ეს? სოციალისტური მოძღვრება ნიადაგს კარგავს და ხალხი თანდათანობით ილვიძებს. კრებაზე არჩეულ იქმნა ჩვენი პარტიული კომიტეტი, რომელიც უკვე შეუდგა მუშაობას.

ს. ქ.

## საარჩევნო კრება გორში

კვირას 26 იანვარს ქ. გორში გაიმართება ეროვნულ - დემოკრატიული პარტიის საარჩევნო კრება.

მომხსენებლენი არიან პარლამენტის წევრნი! ბ. ბ. შ. ამირეჯიბი და ალექ. ასათიანი.

27

ილ. ნუცუბიძე. (ს.-რევ.) ეკამათება ლ. ნათაძეს, რომელმაც მიწის სოციალიზაცია სიბინძურედ მონათლა. სიბინძურე უწოდა ნათაძემ მიწის სოციალიზაციას, რომელიც ყველაზე მნიშვნელოვანი ლოზუნგი იყო რევოლიუციისა, და რომლის ქვეშ ჩატარდა რევოლიუცია. ფრაქციის სახელით აცხადებს, რომ კანონ-პროექტის წინააღმდეგია, რადგან ის მშრომელი ხალხის ინტერესებს ეწინააღმდეგება. დასასრულ ორატორი კითხულობს ახალს აგრარულ კანონ-პროექტს, რომელიც ს.-რევ. ფრაქციამ შეიმუშავა.

**დ. ჩიქოვანი (რ.-დ.)**

რადიკალ-დემოკრატიული ფრაქციის სახელით ვაცხადებ, რომ მთავრობის კანონ-პროექტს მხარს უჭერთ. ეს არის უდიდესი, უმნიშვნელოვანესი აქტი საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის შემდეგ, ის დიდ როლ ითამაშებს საქართველოს ეკონომიურ აღორძინებაში. პოლიტიკურადაც მას დიდი მნიშვნელობა ექნება: ჩვენი დამოუკიდებლობა ამიერიდან უფრო განმტკიცდება, რადგან აგრარული კანონ-პროექტი იცავს იმ კლასის ინტერესებს, რომელიც ქართველი ერის ცხრა მეათედს შეადგენს და რომელსაც სახელმწიფო ემყარება. და ეს საუკეთესო საწინდარია იმის, რომ ჩვენ სახელმწიფოს ვერავითარი საფრთხე ვერ ავნებს, იქნება ის მარჯვნიდან, თუ მარცხნიდან (**მ. მაჩაბელი:** მარცხნიდან, მარცხნიდან—და უთითებს სოც.-დემოკრატებზე). დასასრულ, ეს აქტი საშუალებას მისცემს საქართველოს თვისი ტერიტორია გააფართოვოს, რადგან ის მიიღეს ყველგან: სოჭაში, აჭარაში და ყველგან. ამიტომ ჩვენ ვაცხადებთ, რომ წარმოდგენილი კანონ-პროექტი ჩვენ სავსებით გვაკმაყოფილებს (**გრ. ვეშაპელი:** სავსებით გაკმაყოფილებთ?); დიაღ, სავსებით გვაკმაყოფილებს, რადგან კანონ-პროექტი ჩვენს პროგრამასთან უფრო ახლოს სდგას, ვიდრე რომელიმე სხვა პარტიის პროგრამასთან. ეხლა შევეხები ოპოზიციას, რომელიც კანონ-პროექტის წინააღმდეგ ილაშქრებს. თქვენ, დამოუკიდებელო ნ.-დემოკრატებო, მუდამ რესპუბლიკის წინააღმდეგი იყავით და საკვირველი არ არის, რომ ილაშქრებთ იმ კანონ-პროექტის წინააღმდეგ, რომელიც საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას აძლიერებს. „კავკასიშე პოსტის“ დროს თქვენი პოლიტიკა იყო პრინცის მოყვანა და ეხლაც თქვენი პოლიტიკაა ჩვენი დემოკრატიული რესპუბლიკის დამხობა. რაც შეეხება სოც.-ფედ. და ს.-რევ., მათი მიწის სოციალიზაციის მოთხოვნა არის საქართველოში ბოლშევიკური და ანტისახელმწიფოებრივი. თვით კანონ-პროექტის შესახებ უნდა განვაცხადო, რომ ჩვენ არ გვაკმაყოფილებს მე-7 მუხლი, რომელშიაც მიწის ნორმაზეა ლაპარაკი. ნორმა უნდა იყოს განსაზღვრული არა კომლობრივად, არამედ მუშა ხელზე, ესე იგი იმისდა მიხედვით, თუ რამდენი მუშა ხელია ოჯახში.

**გრ. ვეშაპელი** (დამოუკ. ნ.-დემ.).

წინა ორატორმა სთქვა, ჩვენი პარტიისათვის სავსებით მისაღებია წარმოდგენილი კანონ-პროექტი, რადგან ჩვენ კერძო საკუთრების ნიადაგზე ვდგევართო. ჩვენც ამ ნიადაგზე ვდგევართ და შეიძლება კანონ-პროექტი ჩვენთვისაც მისაღები უნდა იყოს, მაგრამ ჩვენ არ ვიზიარებთ მას. დაწყება ექსპროპრიაციით და გათავება გაყიდვით არ ნიშნავს კერძო საკუთრების განმტკიცებას. ჩვენი პროგრამა იზიარებს ეხლაც, რომ სახელმწიფოს ჰქონდეს თავისი საადგილ-მამულო ფონდი, ხოლო ამ ფონდის ნორმა უნდა შეეფერებოდეს საქართველოს ცხოვრებით ნაკარნახევს პირობებს და კულტურული მეურნეობის განვითარებას. თქვენი კანონპროექტი კი აშენებულია საფრანგეთის ნიმუშზე და თქვენ ხომ იცით, თუ როგორ შესდგა იქ სახელმწიფოს ფონდი: იქ სახელმწიფომ მოახდინა კონფისკაცია იმ 60 ათას მემამულისა, რომელიც საფრანგეთიდან გადაესახლა; ჩვენში კი თავად-აზნაურობა არსად არ ლტოლვილან და თავის მამულში მყოფი თავად-აზნაურობა გაძარცვეთ. ამას უნდა დაუმატოთ ისიც, რომ საფრანგეთში აგრარულ რეფორმას აწყობდენ რობესპიერები და არა ხომერიკები და ნინიძეები. თქვენ დაიწყეთ აგრარული რეფორმა უბრალო ლოზუნგით „დაჰკარით თავად-აზნაურებს“ იმ თავად-აზნაურებს, რომელთა ქონების გადმოცემამ ეროვნული ყრილობა მოგაწვევინათ—ნ. ჟორდანია მხოლოდ მაშინ დასთანხმდა ყრილობის მოწვევას, როდესაც თავად-აზნაურობამ თავისი ქონება გადმოგცათ, და თვით ეროვნულ ყრილობაზე პირველ საკითხად თავად-აზნაურობის ქონების საკითხი იქმნა დასმული, ხოლო მეორედ კი მიმდინარე პოლიტიკური საკითხები—თქვენ „დაჰკარით იმ თავად-აზნაურობას“, რომლის დეპუტატთა საკრებულომ მოგცათ თქვენ მთელი ტეხნიკა ჩვენი დღევანდელი პარლამენტისა, მთელი კანცელარიით და შტატით. ისე გაძარცვეთ თქვენ ქართველი ერი, რომ ამაზე მეტი ძარცვა სპარსეთშიც არ გაგონილა (სოც.-დემოკრატების სკამებიდან: ჩვენ მძარცველები გავძარცვეთ და არა ქართველი ერი). თუ ვინ გაძარცვეთ თქვენ, ამის შესახებ ჰკითხეთ იმ ხალხს, რომელიც სულს ჰლაფავს თქვენი კომისრების ბატონობის ქვეშ (ხმები: ბოროტმოქმედ კომისრებს ხომ სამსახურიდან აგდებენ, მათ სასტიკად სჯიან) უკეთესი იქნება, რომ მათ თქვენ სამსახურიდან არ აგდებდეთ: ბარემ ერთი იყოს, გაძღება ქრთამებითა და ძარცვით და შემდეგ დამშვიდდება, თუ არა და თქვენ ერთის მაგივრად მეორეს ნიშნავთ და ეს მეორე თავიდან იწყებს ყვლეფას, ვიდრე არ გაძღება (ვ. ჯუღელი: ვინ გაძღა და ვინ გასუქდა მშრომელი ხალხის ზურგზე, ეს ყველამ იცით). თუ არ გჯერათ, ვინ გაძღა და ვინ გასუქდა, ამის შესახებ ბატონო ვალიკო ჯუღელო, შეგვიძლია ფოტოგრაფები დავიმოწმოთ. თქვენ წინადაც ხართ სურათში გადაღებული და შეგვიძლია შევადაროთ ეხლანდელ თქვენს ფოტოგრაფიას... დიაღ, თქვენ დაიწყეთ ექსპროპრიაციით და ათავებთ გაყიდვით. მაგრამ თავს ნუ მოიტყუებთ; გლეხი თქვენს კანონპროექტს არ ენდობა, ის არ გენდობათ, რომ აძლევთ მიწას სამუდამო საკუთრებად. მართალია, ის იყიდის, მაგრამ არა იმიტომ, რომ მას თქვენი სჯერა. არა, მას გამონგარიშებული აქვს, რომ რამდენსაც თქვენ ეხლა გადაახდევინებთ, იმაზე მეტს მარტო ერთ ზაფხულში მოიყვანს ნაყიდ მიწაზე და ერთი წლის იმედი კი აქვს თქვენის მხრით, რომ უკან არ წაართმევთ მიწას, და რომ ეს ასეა, რომ გლეხს თქვენი კანონების არაფერი სწამს, ეს ცხადად სჩანს თქვენი კორესპონდენტის ცნობებიდან. ზაქარია გურული „ერთობა“-ში მოთავსებულ კორესპონდენციაში სწერს, რომ გლეხები არ ემორჩილებიან თქვენ კანონს მიწების ჩამორთმევისას. წინა წლების თარიღით აკეთებენ გაყრის ქაღალდებს რომ მეტი მიწა მიიღონ, კერძო მემამულესთან აკეთებენ ნაყიდობის ქაღალდის წინააღმდეგ თქვენი კანონისა და სხვ... აქედან ცხადია, რომ გლეხი არც ამ კანონს დაუჯერებს, და ეს სამართლიანი იქნება, რადგან ის საქართველოს პირობებს სრულებით არ შეეფერება: ხომერიკის სტატისტიკა გვეუბნება, რომ ბორჩალოში და ახალციხეში თავისუფალი საადგილმამულო ფონდი დიდია. ჩვენი ეთნოგრაფიული რუქა (აქ ვეშაპელი შლის თავის ეთნოგრაფიულ რუქას) კი გვეუბნება, რომ ამ ადგილებში გარდა ქართველებისა არიან სხვებიც. და აი, ჩვენ ვამბობთ: ეს ფონდი უნდა ერგოს მხოლოდ ქართველ ხალხს. საქართველოს პირობებს ეს შეეფერება. და რადგან ჩვენ ვიცით, რომ ამიერ-კავკასიის კანონის ნორმით იმ ფონდს უცხოელები მიიღებენ, ამიტომ ჩვენ არ შეგვიძლია მხარი დაუჭიროთ აქ წარმოდგენილ კანონ-პროექტს.

კრება იხურება ნაშუადღევის 4 ს.

—

**სამშაბათი, იანვრის 21 სხდომა.**

თავმჯდომარეობს ე. თაყაიშვილი.

კრება იხსნება 12 ს. 45 წ.

გრძელდება კამათი აგრარულ კანონ-პროექტის შესახებ.

**ს. დადიანი** (ს.-ფედ.). საბუთებით ამტკიცებს თავის ვრცელ სიტყვაში, რომ სოციალ-დემოკრატები ჰლალატობენ იმ გზას, რომელზედაც უნდა იდგეს ყოველი სოციალისტი და მიდიან იმის წინააღმდეგ, რასაც მათი ლიდერები იცავენ.

**პ. საყვარელიძე** (ს.-დ.).

სამწუხაროა, რომ ორატორები არ ეხებიან კანონ-პროექტს და სხვისი აზრებით გვიმასპინძლდებიან. მე ვერ გავყვები ციტატების გზას და პირდაპირ შევეხები საკითხს. ძირითადი აზრი კანონ-პროექტისა არის არა ნორმა ეს უკვე გადაწყვეტილია მარტის კანონით,—არამედ ის, რომ სახელმწიფო ფონდიდან საკუთრებათ გადავსცეთ გლეხს მიწა განსაზღვრულის საფასურით. ჩვენში წვრილი წარმოება იყო, არის და ხვალაც იქნება. დღევანდელი ცხოვრება იძლევა იმის საბუთს, რომ ჩვენი წარმოება არის გლეხური, წვრილი და ამას ჩვენ ვერ ვცვლით, რადგან იმ მიწებს, რომელიც ეხლა გლეხებს დაურიგდება, გლეხი გუშინ ამუშავებდა, როგორც იჯარით აღებულს, ამუშავებდა ძველის წესით. დასავლეთ საქართველოში წვრილმა წარმოებამ განავითარა კულტურული მეურნეობა და ამრიგად ის არის ჩვენში ერთად-ერთი ფაქტორი წინსვლისა. ჩვენ ვსწერთ კანონებს არა მარსის კაცობრიობისათვის, არა იტალიისათვის, არა ბელგიისათვის, არამედ საქართველოსათვის, და 1919 წლის საქართველო გვაძლევს იმის საბუთს, რომ სხვა წესი, გარდა კერძო საკუთრებისა, ჩვენში შეუძლებელია. ჩვენი მიზანი უნდა იყოს დავარწმუნოთ გლეხი ჩვენი წყობილების განმტკიცებაში. თუ გლეხობას უთხარით —კერძო საკუთრებას ვსპობთო,—მას გული აუცრუვდება და ამგვარად დაიბადება ანაქია. ჩვენ არ შეგვიძლია მივსცეთ გლეხს ის, რაც არ უნდა: კერძო საკუთრების გაუქმება მას არ უნდა. სოციალისტ-რევოლიუციონერები უპირისპირებენ ხალხს და სახელმწიფოს, ჩვენ ვართ ხალხი, ჩვენვე ვართ სახელმწიფო და ვინც ამას უარჰყოფს, მას არ შეუძლია ჰყავდეს მთავრობაში თავისი წარმომადგენელი. ს.-რევ. მოთხოვნა—მიწის სოციალიზაცია—შეიძლება გატარებულ იქმნეს იძულებით: მაშინ გლეხობა გასინჯავს ამას, როგორც მტრულ ნაბიჯს, რომელიც მის წინააღმდეგ არის მიმართული. მეორე დებულება კანონ-პროექტისა არის ის, რომ გადაცემულ მიწაში გლეხს საფასური უნდა გადახდეს. ამას თავისი ფინანსიური მოსაზრება აქვს: ეს მიწები ხომ თავისუფალი არ არის; ბანკების ვალი, კერძო ვალი, ყველა ამას გადახდა უნდა. რომ ამ ვალებზე უარი ვსთქვათ, ეს იქნება სოციალური რევოლიუციის დაწყება. დასასრულ, მოგახსენებთ პარტიულ მოსაზრებაზეც: წარმოდგენილი კანონ-პროექტი ჩვენს პარტიულ პროგრამას სრულიადაც არ ეწინააღმდეგება, მართალია, ჩვენს პროგრამაში არის მუნიციპალიზაცია, მაგრამ ნ. ჟორდანიას წინადადებით სტოკჰოლმის კონგრესზე მეორე მუხლში შეიტანეს: თუ მუნიციპალიზაცია ქვეყნის პირობებს არ მოუხდეს, დაცულ იქმნეს კერძო საკუთრების პრინციპი. და ჩვენს კანონ-პროექტში არის მოხსენებული მიწები, რომელთა ნაწილი გადადის კერძო საკუთრებად გლეხებზე. ნაწილი სახელმწიფოს ხელში და ნაწილიც თვითმმართველობათა განკარგულებაში. ეს გახლავს წარმოდგენილი კანონ-პროექტის დედა აზრი. ს.-რევ. და ს.-ფედ. აქვთ მეორე პროექტი, მიწის სოციალიზაციისა. არც ერთს ორატორს არ ულაპარაკნია, თუ რა არის მიწის სოციალიზაცია. მისი დამახასიათებელი თვისებაა—კერძო საკუთრების გაუქმება. მეორე თვისებაა გამათანასწორებელი სარგებლობა მიწისა: ეს თუ არ მოიხსენიეთ, მაშინ რაღა სოციალიზაცია გექნებათ? მესამე თვისება მდგომარეობს იმაში, რომ სახალხო მეურნეობაში არავის აქვს უფლება, დაქირავებული შრომა შემოიღოს. განა შეუძლია ვისმე სთქვას, რომ ეს პროექტი შეიძლება განხორციელდეს ისე, რომ საქართველო არ დაინგრეს? (თ. ღლონტი: შეიძლება, შეიძლება), ეს რომ განხორციელდეს, ჩვენ დავრჩებით პირველ-ყოფილ მდგომარეობაში. რა არის სოციალიზაცია? ეს არ არის, როგორც ამბობენ, კოლექტიური დამუშავება მიწის, ეს არის დაყოფვა—дѣлежъ (საერთო სიცილი სოც.-ფედ. სკამებზე), სოც.-რევ. გამოაქვეყნეს გუშინ ახალი პროექტი, რომელზედაც სიტყვას არ დავხარჯავ, რადგან ის უხეირო თარგმანია მეორე სათათბიროში წარდგენილ კანონ-პროექტისა. ამ გვარად ჩვენ აქ გვაქვს ორი კანონ-პროექტი, რომელთაგან ერთი საქართველოს პირობებს სავსებით შეეფერება, ხოლო მეორე მას პირველ ყოფილ მდგომარეობას უბრუნებს.

## ჩვენი კანდიდატები ტიათურის ქალაქის არჩევნებში

## სია № 4.

1) გამრეკელი ალექსანდრე ივანეს ძე. 2) გრიგოლაშვილი ალექსანდრე პლატონის ძე. 3) ხუნდაძე ლევან სილოვანის ძე. 4) გუჯეჯიანი გიორგი სტეფანეს ძე. 5) შავგულიძე ვარლამ ეფრემის ძე. 6) აბაშიძე ჰიბო იოსების ძე. 7) დეკანოზიშვილი ერეკლე გრიგოლის ძე. 8) წერეთელი ნესტორ ზაქარიას ძე. 9) ვაშაძე ბესარიონ იაკობის ძე. 10) იაკობაშვილი ევგენი იოსების ძე. 11) ბაკურაძე ნიკო ქრისტეფორის ძე. 12) კუჭავა ვლადიმერ ეგნატეს ძე. 13) ლეჟავა ანგია პეტრეს ძე. 14) ფხალაძე მარკოზ იოსების ძე. 15) ფურცხვანიძე მიხეილ ბასილას ძე, 16) გოგოლაშვილი ანტონ მიხეილის ძე. 17) ჩიხელიძე სინო დიმიტრის ძე. 18) სამხარაძე გიორგი სიმონის ძე. 19) ვაშაძე ივანე ისიდორეს ძე. 20) ლეჟავა ნოშრევან ლუარსაბის ძე.

## რა უნდა იცოდეს ყოველმა ამომრჩეველმა

მოქალაქენო! იწყება სამზადისი დამფუძნებელი კრების არჩევნებისათვის. ქვევით, მოყვანილია წესი, რომლითაც ეს ამრჩევნები უნდა მოხდეს. ყველა ჩვენი თანამოაზრენი უნდა ამოქმედდენ და ენერგიულად შეუდგენ საარჩევნო სამზადის. არჩევნების შედეგი სავსებით თქვენს მუშაობაზედ არის დამყარებული ყოველ საარჩევნო უბანში უნდა იქმნეს ჩვენი პარტიის წარმომადგენელი. ყოველმა წარმომადგენელმა ფხიზლად უნდა თვალყური ადევნოს არჩევნების კანონიერებას ყოველივე უკანონობა დაუყოვნებლივ უნდა იქნეს აღნიშნული.

შეუდექით საარჩევნო სამზადისს.

1. მთელს საქართველოში არჩევნები მოხდება ამა წლის თებერვლის 14, 15 და 16-ს.

2. მთელი საქართველო წარმოადგენს ერთ საარჩევნო ოლქს.

3. არჩევნების უფლება აქვს ორივე სქესის ყველა მოქალაქეს, ვისაც ოცი წელი უკვე შეუსრულდა.

4. რეგულიარულ ჯარში ჩარიცხულთ ოფიცრებსა და ჯარისკაცებს არა აქვთ ხმის მიცემის უფლება.

5. თითეულ საარჩევნო უბანში მონაწილეობის უფლება იმასა აქვს, ვინც ამ უბნის საარჩევნო სიაშია შეტანილი.

6. არჩევნების წარმოებას ჰხელმძღვანელებენ: რესპუბლიკის ცენტრალური საარჩევნო კომისია, საქალაქო, სამაზრო, სოფლის საზოგადოებისა და სოფლის წვრილი საარჩევნო კომისიები.

7. ყველა ამ კომისიებში, იმ პარტიას, ვისი სიაც წარდგენილია, უნდა ჰყავდეს თავისი წარმომადგენელი.

8. ცენტრალური კომისია შესდგება 21 კაცისაგან და ირჩევს საქართველოს პარლამენტი.

9. სამაზრო საარჩევნო კომისიას შეადგენს ერობის გამგეობა, ხოლო სადაც ერობა არაა, სამაზრო ქალაქის თვითმართველობის გამგეობა, მაზრაში ყველა მომქმედ პოლიტიკურ პარტიათა წარმომადგენელთაგან ძალთა განწყობილების მიხედვით.

10. სამაზრო კომისიებს ევალებათ: 1. დაარსება სოფლის საზოგადოებისა და წვრილ სასოფლო ერთეულების კომისიებისა. 2. საარჩევნო სიების თავის დროზე შედგენა და მათი საყოველთაოდ გამოფენა. 3. დამზადება და დაგზავნა საარჩენო ყუთებისა. 4. საჩივრებისა და პროტესტების განხილვა სიების უწესოდ შედგენისა და სოფლის კომისიების უწესოდ მოქმედებისა. 5. ზომების მიღება, რათა ამომრჩევლებს ეცნობოთ საკანდიდატო სიები. 6. ხმების დათვლა.

11. იმ ქალაქებში, რომელთა მცხოვრებლების რაოდენობა ორი-ათას აღემატება, არსდება ცალკე საქალაქო საარჩევნო კომისია. ამ კომისიას ირჩევს ქალაქის საბჭო თავის წრიდან მომქმედ პოლიტიკურ პარტიათა შორის ძალთა განწყობილების მიხედვით. თბილისში კომისია შესდგება ცხრა წევრისაგან, ქუთაისსა და ფოთში შვიდ-შვიდისაგან. დანარჩენ ქალაქებში ხუთი წევრისაგან. საოლქო კომისია დაჰყოფს ქალაქს საარჩევნო უბნებად.

12. სოფლის საზოგადოების კომისიას შეადგენს სათანადო მაზრის საარჩევნო კომისია საზოგადოებაში მომქმედ პოლიტიკურ პარტიათა შორის ძალთა განწყობილების მიხედვით.

ეს კომისია დაჰყოფს საზოგადოებას წვრილ სასოფლო საარჩევნო ერთეულებად, შეადგენს წვრილ სასოფლო კომისიებს.

13. წვრილ სასოფლო საარჩევნო კომისიას სოფლის საზოგადოების საარჩევნო კომისია სამაზრო კომისიის ჩვენებითა და ხელმძღვანელობით ხუთი კაცისაგან თანახმად დანარჩენ კომისიების მოწყობის პრინციპისა.

14. სოხუმის საოლქო საარჩევნო კომისიას შეადგენს სოხუმის ქალაქის გამგეობა—ცხრა კაცისაგან მომქმედ პარტიათა ძალთა განწყობილების მიხედვით.

15. თითოეულს საარჩევნო უბანში ჰსდგება ცალკე სია ამომრჩევლებისა.

16. საარჩევნო უბნის სიაში შეიტანება საარჩევნო უფლების ის პირი, ვინც იქ სცხოვრობდა სიის შედგენის დაწყების დღემდე, თუნდაც დროებით წასული იყოს იქიდან.

17. ვინც საარჩევნო უბანში სიების შედგენის დაწყების შემდეგ დაბრუნდება, შეიძლება შეტანილ იქნეს სიაში მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ თითონ წარუდგენს შესაფერ განცხადებას უბნის საარჩევნო კომისიას, ასეთი განცხადება უნდა წარედგინოს სიების შედგენის დამთავრებამდე, ან სამი დღის განმავლობაში სიების გამოქვეყნებიდან.

18. საარჩევნო სია შედგენისათანავე დაუყოვნებლივ, ყოველ შემთხვევაში არა უგვიანეს 24 დღისა არჩევნების დაწყებამდე, საქვეყნოდ უნდა გამოცხადდეს, ისე რომ ყველას შეეძლოს მისი გაცნობა.

19. სამი დღის განმავლობაში დღიდან საარჩევნო სიის გამოქვეყნებისა საარჩევნო ხმის მქონებელთ შეუძლიანთ საჩივარი შეიტანონ, რომ სია არ არის სწორე შედგენილი, ან სრული არაა. ასეთი საჩივრები შეაქვთ სამაზრო ან საქალაქო კომისიებში.

20. ხმის მიცემა სწარმოებს საარჩევნო ბარათებით გარეგნობით ერთნაირი უნდა იყოს. ნიმუშს საარჩევნო ბარათისას აწესებს ცენტრალური საარჩევნო კომისია და აცხადებს საყოველთაოდ არა უგვიანეს 24 დღისა არჩევნების დაწყებამდე.

21. თითოეული საარჩევნო ბარათი უნდა შეიცავდეს ერთ-ერთ გამოცხადებულ საკანდიდატო სიას. სიაში არავითარი ცვლილების შეტანა არ შეიძლება.

22. კონვერტები საარჩევნო ბარათებისა უნდა იყოს ერთნაირი და ზედ უნდა იყოს დასმული ბეჭედი ცენტრალური კომისიისა.

23. ბარათები და კონვერტები დამზადებისათანავე ცენტრალური კომისიის განკარგულებით დაეგზავნებათ საქალაქო, სამაზრო და საოლქო კომისიებს.

24. საქალაქო საარჩევნო კომისიები წინდაწინ ამზადებენ თითოეულ ამომრჩეველისთვის სახელობით მოწმობას. ასეთი მოწმობა სავალდებულოა მხოლოდ ქალაქის მცხოვრებთათვის.

25. საქალაქო და სოფლის წვრილი საარჩევნო კომისია ვალდებულია დაურიგოს თითოეულ ამომრჩეველს არა უგვიანეს ორი დღისა არჩევნების დაწყებამდე თითო ცალი საარჩევნო ბარათი ყოველ გამოცხადებულ სიისა.

26. თვითეულ საარჩევნო შენობაში უნდა იყოს ერთი ან რამოდენიმე მოფარებული ადგილი, რომ ამომრჩეველს შეეძლოს საიდუმლოდ ჩასდოს კონვერტში ბარათი.

27. საარჩევნო შენობაში, კიბეზე ან მის კარებთან ყოველგვარი აგიტაცია-პროპაგანდა და სიტყვის წარმოთქმა მოწოდების დარიგება ან გაკვრა აკრძალულია.

28. საარჩევნო შენობაში არ შეიძლება იარაღით შესვლა.

29. არჩევნების სამივე დღის განმავლობაში საარჩევნო შენობის კარები უნდა დაიკეტოს საღამოს სრულ 9 საათზე ქალაქად, და სრულ 8 საათზე სოფლად. თავმჯდომარე გალუქავს საარჩევნო ყუთის ამოჭრილ პირს— შენობა იბეჭდება მეორე დღის დილამდე. შენობის კარებს დარაჯი მიუდგება.

30. დაცული უნდა იყოს არჩევნების სრული თავისუფლება და სისწორე. ამის დამრღვევნი დაისჯებიან დებულების მიხედვით.

რედაქტორი გერონტი ქიქოძე.

## დამფუძნებელ კრების არჩევნები

**საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის ორგანიზაციებს, პარტიის წევრებს და თანამოაზრეთ.**

14, 15 და 16 თებერვალს მოხდება საქართველოს დამფუძნებელ კრების წევრთა არჩევნები.

გევალებათ: დაჩქარებით გააცნოთ თქვენს რაიონში მცხოვრებ ხალხსა დამფუძნებელი კრების მნიშვნელობა.

გაურკვიეთ ყველას, რომ ყოველი ქართველი მოვალეა შეგნებული მონაწილეობა მიიღოს დამფუძნებელი კრების არჩევნებში.

აუხსენით ხალხს თუ როგორი შედეგები მოყვება სახელმწიფოებრივი ძალა-უფლების სოციალისტური პარტიების ხელში დარჩენას, თუ რამდენათ სახიფათო იქნება ეს სასოფლო მეურნეობისათვის, ვაჭრობა-მრეწველობისათვის და საერთოთ ჩვენი ქვეყნის პოლიტიკური და ეკონომიური ურთი-ერთობისათვის.

აუხსენით ხალხს, რომ უკეთუ ქართველი ხალხი შეგნებულ მონაწილეობას მიიღებს არჩევნებში, არ მისცემს ხმას სოციალისტურ პარტიებს და ამოირჩევს იმათ ვინც იცავს ერის უმრავლესობის ინტერესებს, დამფუძნებელი კრება ჩამოართმევს მთავრობას სოციალისტურ პარტიებს და ჩააბარებს იმათ, ვისაც ნამდვილი დემოკრატიული წყობილების დამყარება შეუძლიანთ და სახელმწიფოებრივი აღმშენებლობის უნარი აქვთ.

ყველა ქალაქების, მაზრებისა და სოფლის საზოგადოებათა საარჩევნო კომისიებში უნდა დაინიშნოს ჩვენი პარტიის წარმომადგენელი. პარტიის სამაზრო კომიტეტებს ევალებათ სასწრაფოდ გამოარკვიონ, თუ რომელს სოფლებში დაიდგმება საარჩევნო ყუთები და თითეულს ყუთს თავისი წარმომადგენელი მიუჩინონ.

მათ უნდა ყოველგვარი ზომები მიიღონ, რომ არჩევნები იყოს თავისუფალი, რომ არ იყოს ძალდატანება—ადგილობრივს ადმინისტრაციას არ აქვს უფლება საარჩევნო პროპაგანდის და აგიტაციის წარმოების უფლება. ამას მოითხოვს კანონი და ადგილობრივი მთავრობა ვალდებულია ეს დაიცვას.

კანონი მოითხოვს აგრეთვე, რომ საარჩევნო კომისიებმა თვითონვე დაურიგონ ბიულეტენები ამომრჩეველთ, ჩვენი პარტიის ორგანიზაციებმა და თანამოაზრეებმა ყოველგვარი ზომა უნდა მიიღონ, რომ თითეულს ამომრჩეველს მიუვიდეს ჩვენი ბიულეტენი. უკეთუ ამომრჩეველთ დაურიგდა სხვა პარტიების ბიულეტენები და ჩვენი პარტიას კი არა, ყოველი ასეთი შემთხვევა უნდა აღინიშნოს პროტოკოლით და ეცნობოს ადგილობრივ საარჩევნო კომისიას და აგრეთვე ჩვენი პარტიის მთავარ სარჩევნო კომიტეტს თბილისში.

ადგილობრივმა ორგანიზაციებმა ყოველივე ზომები საარჩევნო მუშაობის შესახებ დეპეშებით უნდა აცნობოს პარტიის მთავარ კომიტეტს თბილისში. პროვინციაში მიმავალ პარტიის წევრთა და თანამოაზრეთ ევალებათ წასვლის წინ შემოიარონ პარტიის მთავარ საარჩევნო კომიტეტში. (ყოფილი თავად-აზნაურობის ქარვასლა. „საქართველოს“ რედაქციისა და მთავარი კომიტეტის ბინა).

**ეროვ.-დემოკრ. პარტიის მთავარი საარჩევნო კომიტეტი.**


## ფინანსთა სამინისტროსაგან

ფულის ტრიალის გასაადვილებლად და სახელმწიფო არა ჩვეულებრივ ხარჯების დასაკმაყოფილებლად, თანახმად საქართველოს პარლამენტის დადგენილებისა, რესპუბლიკის მთავრობა ჰსცემს 50.000.000 მანეთის 5 პროცენტიან მოკლე ვადიან სახელმწიფო ხაზინის ვალდებულებებს [illegible] ვადით (ამ. ვადა 1 იანვრიდან 1920 წ.).

ვალდებულებანი გამოშვებულია შემდეგ ღირებულებად: 5,000, 1,000, 500, 100 და 25 მან.

[illegible] 5,000 მან. და 1,000 მანეთიანებს [illegible]

**აღნიშნულ ვალდებულებათა სარგებელი განთავისუფლებულია სახელმწიფო გადასახადისაგან.**

ვალდებულებების [illegible]

**ვალდებულების შეძენა შეიძლება**

**მხოლოდ ნაღდ ფულად**

ვალდებულებების შეძენა შეიძლება 15 იანვრიდან სახელმწიფო ბანკში, რესპუბლიკის ყველა ხაზინებში, კერძო ბანკებში, [illegible] კოოპერატივებში. 10—94—7